



# ახალი ბენათლები

2015 წელი, 26 თებერვალი - 4 მარტი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№8 (682) ბაზრობის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



## გზა პრაქტიკოსი მასწავლებლიდან მენტორობამდე

„დღემდე მასწავლებლის მომზადებისა და შეფასების თანმიმდევრული, ერთიანი სისტემა არ არსებობდა. ახალი სისტემა კი, ხელს შეუწყობს ახალგაზრდების პედაგოგიური სფეროთი დაინტერესებას და მასწავლებლის პრესტიჟის ამაღლებას მომსახურება. სქემის მასშტაბურობის გათვალისწინებით, სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ 2015-1016 წლებში სქემამ საპილოტე რეჟიმში იმუშაოს, თუმცა პილოტირების მონაწილე პედაგოგის წარმატება შენარჩუნდება და გავლენას იქონიებს საფეხურებზე მისი მოძრაობის პროცესზე.“

\*\*\*

ვერც ერთ მასწავლებელს სქემის გარეთ ვერ დავტოვებთ, ეს გამორიცხებულია. პედაგოგს თვალის ჩინივით ვუფრთხილდებით, ვერც ერთ მასწავლებელს, რომელსაც კარგი გაკვეთილის ჩაატარების და მოსწავლის შედეგის გაუმჯობესების უნარი შესწევს, ქუჩაში ვერ გავუშვებთ.

\*\*\*

თვითონ სქემას რაც შეეხება, აბსოლუტურად ობიექტური და გამჭვირვალეა, არადისკრიმინაციული და საჭიროებებზე მორგებული. ძალიან გამიკვირდება, თუ ვაკეთდება განცხადებები და კომენტარები ამ კონკრეტულ კრიტერიუმებთან მიმართებაში. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამოძახილი იქნება, რომ ან სქემას არ იცნობენ, ან დეტალებში ვერ ერკვევიან. არადა, სწორედ დეტალებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა.“



### საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის რეგისტრაცია დაიწყო

საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის რეგისტრაცია 25 თებერვალს დაიწყო და 17 მარტს 18:00 საათზე დასრულდება.

➤ მაგისტრანტობის კანდიდატები რეგისტრაციას გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გაივლიან ([www.naec.ge](http://www.naec.ge); [online@naec.ge](mailto:online@naec.ge)). ინტერნეტით რეგისტრაციისათვის მაგისტრანტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს პირადობის მოწმობა, მან ასევე უნდა გადაიხადოს გამოცდაში მონაწილეობის საფასური.

➤ 2015 წლიდან საერთო სამაგისტრო გამოცდაზე, მიმართულებების მიხედვით, შეთავაზებული იქნება სამი სხვადასხვა – A, B და C ტიპის ტესტი. მაგისტრანტობის მსურველმა რეგისტრაციისას მისთვის სასურველი ტიპის ტესტი უნდა აირჩიოს.

➤ A, B და C ტიპის ტესტებიდან თითოეული, ისევე როგორც გასულ წლებში, ოთხ ნაწილს მოიცავს: წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა, ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა.

➤ სახელმწიფო დაფინანსება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგის მიხედვით განაწილდება.

2015 წლის ერთიანი ეროვნული და სტუდენტთა საგრანტო გამოცდებისათვის რეგისტრაცია 10 თებერვალს დაიწყო და 17 მარტის 18:00 საათამდე გასტანს.



## თურქეთი ჩემი სამშობლოა, და სამშობლო კი – საქართველო!

„გადასახლება იმას ნიშნავს, რომ შენი სევდიანი წარსული ყველგან თან ატარო. მიტოვებული მიწის მონატრება გაუსაძლისი სიმწარეა, რომელიც გულს გტკენს. და ამ ტკივილს არავითარი წამალი არ ანელებს. აღარც ის მიტოვებული მიწა გეკუთვნის ანი და აღარც ის გეხება, რაც ზედ ხდება... ის კი გსაყვედურობს, რატომ მიმატოვეო? შენც იმ მიწაზე, რომელზეც ამჟამად ცხოვრობ, გაუთავებლად ერთსა და იმავე შეკითხვას უსვამ საკუთარ თავს: „აქ რა მესაქმება?“ შენი სული იმ მიტოვებულ ადგილს მისტირის, შენი სხეული კი იმ ადგილს ვერ ეთვისება, სადაც ახლა ხარ. ისე ცხოვრობ, თითქოს შენი ერთი ნაწილი სხვაგანაა დარჩენილი... ცდილობ, სევდა სიხარულად აქციო. მაგრამ ყველაზე მხიარულ სიმღერებსაც კი სევდა შერევია, რომელსაც ასე ადვილად ვერ განდევნი. სხვაზე მეტს ცდილობ, რომ მიწას ჩაეჭიდო. შენთვის ცხოვრება ორმაგად რთული, მძიმე და ნაღვლიანია. ახალ ენას ეუფლები და ცდილობ, საკუთარი ენა არ დაივიწყო. შენს ენაზე აღარ ლაპარაკობ, მაგრამ მისი სიცოცხლის გახანგრძლივებას ცდილობ, რომ შენს არსებობასაც ბოლო არ მოეღოს.“



ნომრის სტუმარია ქაქისარ რუჰი (ქათი ხანთაქი), წარმოშობით ქართველი, ენათმეცნიერი, მწერალი, მთარგმნელი

გვერდი 6-7

პედაგოგთა დასახარებლად

### გაკვეთილის ორგანიზების ფორმები გერმანული ენა

გვერდი 4



აქტუალური თემა

# გზა პრაქტიკოსი მასწავლებლიდან მენტორობამდე

## ლალი ჯეჯელაძე

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მარეგულირებელი დოკუმენტები სპეციალურმა სახელმწიფო კომისიამ შეიმუშავა და 19 თებერვალს საქართველოს მთავრობამ დამტკიცა. მთავრობის სხდომის შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძე** სამინისტროში პრეს-კონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს ახალი სქემა წარუდგინა.

სქემა ერთიანი სისტემაა, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია პედაგოგის მომზადება პროფესიისთვის. დოკუმენტში ასახულია, როგორ უნდა იყოს საუნივერსიტეტო პროგრამა, პროფესიაში შესვლის გზები და როგორ უნდა შეუწყონ ხელი პედაგოგს კარიერულ წინსვლაში.

სამინისტროში აქამდე მოქმედი სერტიფიცირების მოდელის ძირითად ხარვეზად მოდელის არასისტემურობა დასახელდა – ის არ იყო ორიენტირებული მასწავლებლის განვითარებაზე და სრულად ვერ ასახავდა მის საქმიანობასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. მასწავლებლის შეფასება ხდებოდა მხოლოდ საგამოცდო ფორმატში. შეფასების ახალი სისტემის დანერგვით კი გაიკვეცა, რამდენად ეფექტურად იყენებს პედაგოგი ცოდნასა და უნარ-ჩვევებს პრაქტიკაში და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მოსწავლის შედეგები გაუმჯობესდეს.

### ახალი სქემით რეგულირდება ისეთი საკითხები, როგორებიცაა:

- მასწავლებლის პროფესია, როგორც რეგულირებადი პროფესია;
- მასწავლებლის მომზადების ახალი საუნივერსიტეტო პროგრამა;
- პროფესიაში შესვლის ალტერნატიული გზები;
- მასწავლებლის დაქირავების სამართლებრივი წესი;
- მასწავლებლის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკა;
- პროფესიული განვითარების მრავალმხრივი შესაძლებლობები;
- კარიერული წინსვლის მოქნილი მექანიზმი;
- მასწავლებლის შეფასების შიდა და გარე კომპონენტი.

ახალი სქემის მიხედვით, სექტემბრიდან, პედაგოგები ოთხ კატეგორიად დაიყოფიან: პრაქტიკოსი პედაგოგები; უფროსი პედაგოგები; წამყვანი პედაგოგები; მენტორი პედაგოგები.

2015 წელს, პირველი დაყოფის შემდეგ, მენტორი მასწავლებლები არ იქნებიან. მესამე საფეხური, ანუ წამყვანი პედაგოგის სტატუსი მიენიჭებათ სკოლების სერტიფიცირებულ მასწავლებლებს, ვისაც დოქტორის ხარისხი აქვთ; მეორე კატეგორია – სერტიფიცირებულ პედაგოგებს; პირველ საფეხურზე კი ყველა სხვა მასწავლებელი აღმოჩნდება.

პირველ კატეგორიაზე მყოფმა მასწავლებლებმა, ანუ პრაქტიკოსმა პედაგოგებმა საგნობრივი გამოცდა კომპეტენციის დასაფუძვლების მიზნით უნდა ჩააბარონ, გაიარონ შიდა საგაკვეთილო დაკვირვება და ტრენინგი პროფესიულ უნარებში. იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი, გათვალისწინებულ ვადაში ვერ/არ არ ჩააბარებს საგნის გამოცდას, ზოგადასაგან-მანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, განეჭოს მასთან თანამშრომლობა და გამოაცხადოს ვაკანსია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. 2015 წელს საგნის გამოცდა ჩატარდება ერთხელ, პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის, საგნის გამოცდის ჩატარების წესის საფუძველზე განსაზღვრულ დროს, მუსიკისა და სპორტის მასწავლებლების გარდა. არაქართულენოვანი ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულების/სექტორის მასწავლებლებისთვის გამოცდა 2016 წელს ჩატარდება. საგნობრივ გამოცდას პედაგოგი, თავისი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ ჩააბარებს. ხოლო ის პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელსაც 2014 წლის ჩათვლით წარმატებით აქვს დაძლეული მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივი ნაწილი, თავისუფლდება საგნის გამოცდისაგან. 2011-2014 წლებში მათ მიერ დაგროვილი კრედიტულებიც აღიარებული იქნება.

სქემის თანახმად, დაინერგება პედაგოგთა შეფასების ახალი სისტემა. მათი საქმიანობა შეფასდება ორი ფორმით – შიდა და გარე შეფასებით (საგნობრივი გამოცდა და პრაქტიკაზე დაკვირვება). შიდა დაკვირვებისთვის სკოლებში შეიქმნება სპეციალური 5-კაციანი ჯგუფი, რომელიც მასწავლებელთა საქმიანობას შეაფასებს. აღნიშნული ჯგუფები შემდგენიან დაკომპლექტდება: დირექტორი, მოადგილე, ფასილიტატორი მასწავლებელი და შესაბამისი საგნის პედაგოგები. შეფასება ყველა სკოლაში სტანდარტული იქნება, თავად სტანდარტი იგნისში დამტკიცდება. უფროსი მასწავლებლის პოზიციის შენარჩუნებისთვის, პედაგოგს 19 კრედიტულის დაგროვება უნევს, წამყვანი მასწავლებლის – 17 კრედიტულის, ხოლო მენტორი მასწავლებლის – 30. მიუხედავად იმისა, რომ სქემის მიხედვით, კრედიტულების დაგროვება შენარჩუნებისთვის პედაგოგებს 4 წელი აქვთ განკუთვნილი, პირველი საბილოტე პროგრამა ხუთწლიანი იქნება.

საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა პედაგოგებს დაქირავებული წესითაც შეეძლება. მინისტრის განმარტებით, უწყება ამ მიმართულებით შეზღუდვებს არ ახსენებს. იმ მასწავლებლებს კი, რომლებსაც სერტიფიცირება მხოლოდ ერთ საგანში, მეთოდოლოგიაში, აქვთ ჩაბარებული, მომდევნო საფეხურზე გადასასვლელად, დაქირავებული წესით შეეძლება საგნობრივი გამოცდის ჩაბარება.

სავალდებულო აქტივობებს შორისაა თვითშეფასება.

### მასწავლებლებმა უნდა:

- შეავსონ თვითშეფასების კითხვარი, თუმცა ამ საქმიანობაში მათ დამატებითი კრედიტი არ მიენიჭებათ;
  - შეაფასონ თავიანთი საქმიანობა, მოამზადონ პროფესიული საქმიანობების ანალიზი;
  - შეადგინონ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა;
  - გააანალიზონ განხორციელებული პროფესიული საქმიანობა.
- რაც შეეხება გარე შეფასებას, აქ იგულისხმება – საგნობრივი გამოცდა და პრაქტიკაზე დაკ-

ვირვება. რადგან მასწავლებლობა რეგულირებადი პროფესიაა, სხვა რეგულირებადი პროფესიების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფო მინიმალურ მოთხოვნებს აყენებს.

როგორც ცნობილია, ახალ სქემაზე მიბმული პედაგოგის სახელფასო პოლიტიკაც, რადგან პროფესიულ განვითარებას ფინანსური მხარდაჭერაც თან ახლავს. უკეთესი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად, კარიერულ საფეხურებზე მოძრაობა მაქსიმალურად მოქნილად და დაგეგმილი.

პედაგოგთა ხელფასების ზრდა, მომავალი 2 წლის განმავლობაში, სამ ეტაპად განხორციელდება. ხოლო ის დანამატები, რაც პედაგოგებს ამ ეტაპზე აქვთ, მომავალშიც შეუნარჩუნდებათ. მათ შორის, ხელფასები და დანამატები შეუნარჩუნდებათ ე.წ. „ათასლარიან“ მასწავლებლებს და მათაც, ვინც კომპიუტერისა და უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისთვის იღებს დანამატს.

მასწავლებელთა საშუალო ხელფასის მაჩვენებელი:

- 2015 წლის 1 სექტემბრიდან: მენტორი – 800; წამყვანი – 650; უფროსი – 560; პრაქტიკოსი – 400.
- 2016 წლის 1 აპრილიდან: მენტორი – 950; წამყვანი – 750; უფროსი – 640; პრაქტიკოსი – 455.
- 2017 წლის 1 იანვრიდან: მენტორი – 1250; წამყვანი – 1000; უფროსი – 800; პრაქტიკოსი – 455.

ახალი სქემით კიდევ ერთი ცვლილება დაინერგება – თუ სკოლაში ვაკანტური ადგილი გაჩნდება, შემოვა ახალი ცნება, შიდა ვაკანსიის სახით და გამოთავისუფლებული საათები სკოლის შიგნით, პედაგოგებზე გადანაწილდება.

კრედიტების დაგროვება განხორციელდება აქტივობებით, რომელიც დოკუმენტშია მითითებული. გთავაზობთ აქტივობების ჩამონათვალს, რომლებიც შესაძლებელია შეფასდეს:

### სასწავლო პროცესი

- საგაკვეთილო პროცესი;
- პროექტი;
- სსსმ მოსწავლესთან მუშაობა;
- კვლევა;
- კლასგარეშე აქტივობა;
- სადამრიგებლო პროგრამის განხორციელება;
- პროფესიული ორიენტაცია;
- სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა;
- სასწავლო რესურსის შექმნა;
- მოსწავლეთა მიღწევები.

### პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

- ტრენინგი;
- სტაჟირება;
- აკადემიური კურსები;
- კოლეგებთან თანამშრომლობა;
- კონფერენცია;
- ექსპერტ-კონსულტანტობა;
- პედაგოგიური პრაქტიკის მუშავება;
- პროფესიული ლიტერატურის შექმნა;
- საგნობრივ ტესტის ჩაბარება;
- სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა.

სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მოსაპოვებლად, კანონმდებლობით დადგენილი ვადის განმავლობაში, მასწავლებლის მიერ დასაგროვებელი კრედიტულების რაოდენობა შემდეგი წესით დგინდება:

- ა) პრაქტიკოსმა მასწავლებელმა, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად, უნდა დააგროვოს 19 კრედიტულა;
- ბ) უფროსმა მასწავლებელმა, უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად – 13 კრედიტულა;
- გ) უფროსმა მასწავლებელმა, წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად – 19 კრედიტულა;
- დ) წამყვანმა მასწავლებელმა, წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად – 17 კრედიტულა;
- ე) წამყვანმა მასწავლებელმა, მენტორის სტატუსის მისანიჭებლად – 25 კრედიტულა;
- ვ) მენტორმა მასწავლებელმა, მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად – 30 კრედიტულა.

სქემაზე დაყრდნობით, მომზადდა ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც კვალიფიციურ პედაგოგებს მოამზადებს. პირები, რომლებიც ახალი საუნივერსიტეტო პროგრამით მიიღებენ განათლებას და 5 წლის განმავლობაში 300 კრედიტს დააგროვებენ, ახალი სქემით, პირდაპირ მეორე საფეხურზე აღმოჩნდებიან.

იმ პირებს კი, რომლებიც პროფესიაში ალტერნატიული გზით შესვლას გადაწყვეტენ, ანუ სხვა პროფესიიდან შევლენ, სკოლებში 60-კრედიტიანი საუნივერსიტეტო პროგრამის დაძლევა მოუწევთ. სწავლების პროცესს მთლიანად სახელმწიფო დააფინანსებს.

2015-2016 წლებში სქემა საბილოტე რეჟიმში იმუშავებს. პოლიტიკების პროცესში პედაგოგის მიერ მიღებული წარმატება შენარჩუნდება და გავლენას იქონიებს საფეხურებზე მისი მოძრაობის პროცესზე.

„ახალი სქემის ამოქმედების საფუძველზე, მოსწავლის სასწავლო შედეგები გაუმჯობესდება, მივიღებთ გაძლიერებულ და გადამზადებულ პედაგოგთა კორპუსს. ზოგადი განათლების სისტემაში თავიდანვე კვალიფიციური კადრები დასაქმდებიან“ – აცხადებენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

ახალი სქემით გათვალისწინებულია ისიც, რომ პედაგოგობის მსურველს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი.

პრეზენტაციის შემდეგ განთლებისა და მეცნიერების მინისტრმა ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.

**თამარ სანიკიძე:** ვინც იმ სისტემის დანერგვას, რომელიც მასწავლებლის კარიერაში შესვლას, პროფესიულ განვითარებასა და შეფასებას უკავშირდება. ახალი მოდელის განხორციელების ფარგლებში ბევრ კომპონენტს მოვიცავთ – იწყება რეგულირება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამიდან, მასწავლებელთა პროფესიაში შესვლის ალტერნატიული გზებით, მათი კარიერული განვითარებით და კომპეტენციებით, რაც მთავარია, სახელფასო პოლიტიკის ახალ სისტემაზე მორგებით. სახელფასო პოლიტიკის ამოქმედება 2015 წლის სექტემბრიდან დაიწყება. სქემის ფარგლებში, მასწავლებლებს მიეცემა ამა თუ იმ კარიერულ საფეხურზე გასანაწილებელი დრო – კრედიტულები, განსახორციელებელი აქტივობები. ყველა ეს ფუნქცია დოკუმენტში დეტალურადაა განხორციელებული და მასწავლებლებს მიეცემა შესაძლებლობა, თავიანთი საქმიანობა წინასწარ დაგეგმონ. სქემის ფარგლებში, მოხდება მნიშვნელოვანი ფუნქციების სკოლაზე დელეგირება და ამით მისი ავტონომიურობის გაზრდა – ძირითადი კომპონენტი სკოლაზე და სკოლის პედაგოგებზე გადატანა, რა თქმა უნდა, არის სახელმწიფო ჩართულობა და საკუთარულზე გარე დაკვირვების ელემენტები. უკეთესი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად კი კარიერულ საფეხურებზე მოძრაობა მაქსიმალურად მოქნილად და დაგეგმილი.

დღემდე მასწავლებლის მომზადებისა და შეფასების თანმიმდევრული, ერთიანი სისტემა არ არსებობდა. ახალი სისტემა კი, ხელს შეუწყობს ახალგაზრდების პედაგოგიური სფეროში დაინტერესებას და მასწავლებლის პრესტიჟის ამაღლებას მოემსახურება. სქემის მასშტაბურობის გათვალისწინებით, სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ 2015-2016 წლებში სქემამ საბილოტე რეჟიმში იმუშაოს, თუმცა პოლიტიკების მონაწილე პედაგოგის წარმატება შენარჩუნდება და გავლენას იქონიებს საფეხურებზე მისი მოძრაობის პროცესზე.

მოდელის მიხედვით კრედიტულები გადანაწილებულია შესასრულებელი პირობების წინის მიხედვით – ყველა აქტივობა ჩამოთვლილია დოკუმენტში და მითითებული აქვს შესაბამისი კრედიტულა. ამიტომ პედაგოგს თავიდანვე ეცოდინება, რამდენ კრედიტულას მოაგროვებს. რაც შეეხება არ დაფუძვნილ არის ის, რომ თუ აქტივობა ბოლომდე არ შესრულდება, პედაგოგს შესაბამისი კრედიტულა არ მიეცემა, დაუსრულებელ აქტივობაში შეფასების მიცემა არასწორი იქნება. მით უმეტეს, როცა ეს გამოცდას შეეხება – გამოცდას აბარებ ან არ აბარებ, ნახევრადჩაბარებულ გამოცდაში კრედიტების ნახევრის მიღება არანორმალური და არალოგიკურია, რაც დიდ დაბნეულობას გამოიწვევს. ამიტომაც კრედიტების სისტემა დაიგეგმა მარტივად – მიბმულია ჩათვლა-არჩათვლაზე – პედაგოგმა ჯერ ერთი აქტივობა უნდა დაასრულოს, შემდეგ მიიღოს აქტივობის შეფასება – შესაბამისი კრედიტი და შემდეგ გადავიდეს მომდევნო აქტივობაზე. ამისთვის მომზადდა ნორმატიული აქტი, სადაც განვლილი სახელფასო და დამატებითი აქტივობები, მითითებულია შესაბამისი კრედიტულები. ასევე მითითებულია, სავალდებულო აქტივობებიდან

**რატომ არის მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა?**

სქემა არის პროფესიული განვითარებისა და წინსვლის ერთიანი სისტემა, რომლის ფარგლებშიც ასევე უზრუნველყოფილია პედაგოგის პროფესიისთვის მომზადება

მასწავლებლის კომპლექსური შეფასების სისტემის დანერგვა - რამდენად ეფექტურად იყენებს მასწავლებელი ცოდნასა და უნარ-ჩვევებს პრაქტიკაში მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად

სკოლის ავტონომიურობის გაზრდა

პედაგოგების ფინანსური მხარდაჭერა, მასწავლებლის შეფასებისა და კარიერული წინსვლის პროცესში

ახალი საბაკალავრო-სამაგისტრო აკადემიური პროგრამების მომზადება, რომლებიც კვალიფიციურ, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის კადრებს მოამზადებს



აქტუალური თემა

რომელია საფეხურზე მოსაჭიროებელი და რომელი - შემდეგ საფეხურზე გადასასვლელი.

- რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი ვერ ეჭიდება რომელიმე საფეხურს ან პირველი საფეხურისთვისაც ვერ აგროვებს კრედიტულებს, საერთოდ გადის პროფესიიდან?

- აქამდე მასწავლებლობის უფლება მიბმული იყო სერტიფიკატზე, ანუ თუ სასერტიფიკაციო გამოცდას ვერ ჩააბარებდა, მასწავლებლის უფლება ერთმეოდა. ახლა ასეთი ალტერნატივას ვთავაზობთ - პრაქტიკოსმა მასწავლებელმა, რომელსაც ოთხი წელი ეძლევა კრედიტების დასაგროვებლად, პირველ სამ წელიწადში (იმისთვის რომ პროფესიაში დარჩეს) საგამოცდო ტესტი, ანუ საგნობრივი გამოცდა უნდა ჩააბაროს. გარდა ამისა, ამ პერიოდში მას აქვს შიდა შეფასება და ტრენინგი. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი ვერ აბარებს ტესტურ გამოცდას, მის ადგილზე ცხადდება ვაკანსია, მაგრამ ვაკანსიის შევსებამდე მასწავლებელი მოვალეობის შემსრულებლად რჩება. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ განსხვავებული მდგომარეობა დედაქალაქში, რაიონში და განსაკუთრებით მალაქოთიან სოფლებში, სადაც დღესაც არის პედაგოგის დეფიციტი. ვაკანსიის გამოცხადების შემდეგ, თუ პედაგოგის მოძებნა ფიზიკურად შეუძლებელი გახდება, ჩვენ აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ სკოლა პედაგოგის გარეშე არ დარჩეს. აქედან გამომდინარე, მასწავლებელი, რომლის ადგილზეც გამოცხადდა ვაკანსია, თუ შემდეგ ჯერზე ჩააბარებს გამოცდას, კვლავ შეძლებს აღიდგინოს მასწავლებლობის უფლება და არ იქნება ისე, როგორც ადრე იყო - ჩამოერთვას სერტიფიკატი და ვერასოდეს ვეღარ შეძლოს მასწავლებლის მოვალეობის შესრულება. ეს ეხება მხოლოდ პრაქტიკოს მასწავლებლებს, დანარჩენ შემთხვევაში, თუ მასწავლებელს არ ყოფნის ვადა თავისი აქტივობების შესასრულებლად, სკოლა მას ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას უდგენს. თუ მოხდება ისე, რომ მასწავლებელი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია აქვს დადასტურებული - შიდა შეფასება და ტრენინგი გაუვლილი აქვს და რომელიმე ინვესტიცია ჩაიდო, მეორე საფეხურზე გადავა, მისი სისტემიდან გაშვება არაა არ უნდა. ვადა მეორე საფეხურზეც ოთხი წელია, ხოლო ინდივიდუალური გეგმა დამოკიდებულია სკოლაზე (რამდენს დაუდგენს პედაგოგს). თუმცა, დოკუმენტში მითითებულია მაქსიმალური ვადა, რადგანაც არ შეიძლება ეს პროცესი უსაზღვროდ გაგრძელდეს. დროში შეზღუდვა მაქსიმალურ ვადას ეხება და არა მინიმალურს.

- ჩართულობა იყენებ თუ არა სქემის შედგენაში მასწავლებლები და რა დოზით? გაითვალისწინებ თუ არა მათი მოსაზრებებს?

- მასწავლებლებთან, რა თქმა უნდა, გვექონდა შეხვედრები, პირველად განხილვებში დაახლოებით 12000-მა პედაგოგმა მიიღო მონაწილეობა. 12000 მასწავლებელი კი ნამდვილად არის ის წარმომადგენლობა, რომელიც ზოგადად მასწავლებლების განწყობასა და მოსაზრებებს გადმოგვცემს. სახელმწიფო კომისიაშიც გვყავდნენ სერტიფიციციური და არასერტიფიციციური მასწავლებლები, ასევე დირექტორებიც როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლებიდან. კომისიაში პროფკავშირის წარმომადგენლებიც იყვნენ, რომლებიც, ძირითადად, მასწავლებლების ინტერესებს იცავდნენ. ამიტომ, ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენთვის მასწავლებლების განწყობა და მიდგომა უცნობია, არასწორია. რა მოლოდინი არსებობს, ეს ნამდვილად ვიცით, რასაც პედაგოგთა მაღალი ჩართულობა განაპირობებს.

- რა გზა უნდა გაიაროს ახალგაზრდა მასწავლებელმა სქემაში რომ ჩაერთოს? ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამაზე დასაბუთებელი კადრებიც იმავე გზას გაივლიან თუ არა?

- ახალი საუნივერსიტეტო პროგრამით მომზადებული კვალიფიციური მასწავლებლები (თუ უკვე დაინიშნებიან ამ პროგრამას), ალბათ, 5 წელიწადში გვეყოლება - საუბარია 300-კრედიტიან პროგრამაზე, რასაც თან სახელმწიფო გამოცდა მოსდევს. სახელმწიფო გამოცდა იმ ძირითად კომპეტენციებს დაადასტურებს, რასაც პრაქტიკოს მასწავლებლებს ვთხოვთ. შესაბამისად, ასე მომზადებული მასწავლებელი შევა არა პირველ საფეხურზე, არამედ მეორეზე, რადგან მას ეს კომპეტენციები ისედაც ეთუქვება. მისი შემდგომი საქმიანობა მთლიანად დაკავშირებული იქნება კარიერულ წინსვლასთან და არა სახელმწიფოს წინაშე რაიმე კომპეტენციის დადასტურებასთან. ერთადერთი ინტერესიცაა, რასაც სახელმწიფო განახორციელებს, ერთჯერადი გარე დაკვირვება, მხოლოდ ისევე რეგულირებადი პროფესიის ჩარჩოში.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ შეიყვანოთ ახალი კადრები სქემაში - ეს დოკუმენტშია განვიხილეთ - მათი შეყვანა ინდივიდუალური გზით მოხდება, მაგრამ წინასწარ იმ უნარების დადასტურებით, რომელსაც ვითხოვთ, პირველ რიგში, უნდა დაკმაყოფილდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნა - მინიმუმ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. იმ შემთხვევაში, თუ ახალბედა კადრს მხოლოდ ბაკალავრის ხარისხი აქვს და არა პედაგოგიური განათლება, აუცილებლად მოეთხოვება, საუნივერსიტეტო 60-კრედიტიანი პროგრამის გავლა, რომელსაც სახელმწიფო დაუფინანსებს. მაგრამ ვიდრე ამ კურსს სახელმწიფო დაუფინანსებს, მასწავლებელი ვალდებულია, საგნობრივი ტესტი ჩააბაროს. ამის შემდეგ გადადის მეორე საფეხურზე, რადგან გავლილი აქვს მოდულიც და პრაქტიკაც. იწყებს მუშაობას დამწყებ მასწავლებლად და, პარალელურად, გადის გარე დაკვირვებას. განსხვავებული მიდგომა დოქტორის ხარისხის მქონე კადრებზე, იმიტომ, რომ მათ 60-კრედიტიანი კურსის გავლა არ სჭირდებათ, მათთვის აუცილებელია მხოლოდ 30 კრედიტის დაგროვება - პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის ნაწილი. ანუ ჩვენი მიდგომა ასეთია - შემოუშვა მასწავლებელი იქ, სადაც უკეთესი ხელფასია და წინასწარ მოსთხოვო მეორე საფეხურის კომპეტენციის დადასტურება.

- უკვე შექმნილია თუ არა ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა?

- მაგისტრატურასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფცია და სტრუქტურა ჩამოყალიბებულია. საჭიროა საკანონმდებლო ცვლილება უმაღლესი განათლების კანონში, რომელსაც გაზაფხულზე მოვამზადებთ. თუ ეს პროცესი დროულად დასრულდა, სექტემბრიდან პროგრამას უკვე ავაიმპლემენტებთ, მაქსიმუმ, შეიძლება მეორე აკა-

დემიური წლის დაწყებამდე გადაინიშოს, მაგრამ ვფიქრობ, ასე არ მოხდება (თუმცა ამის თეორიული შანსი არსებობს). რაც შეეხება 60-კრედიტიან პროგრამას, ის უნივერსიტეტში კარგა ხანია არსებობს. ჩვენ გადაწყვეტივით, განვაახლოთ, რადგანაც უხარისხო იყო; განახლებული 60-კრედიტიანი პროგრამა თავიდან გაივლის აკრედიტაციის განათლების ხარისხის ცენტრში და სექტემბრიდან ძალაში შევა.

- საპენსიო ასაკი მიღწეული ან პენსიონერი პედაგოგების შემთხვევაში როგორ მოხდება სქემაში ჩართვა, ხომ არ არსებობს ასაკობრივი შეზღუდვა და თუ არა, ფიზიკურად თუ შეძლებენ ამ ეტაპების გავლას?

-ეს გონებრივი სამუშაოა და მათ არავინ სთხოვს რეგიონებში მოგზაურობას, სხვადასხვა სკოლებში გადამზადებას თუ მეცადინეობას. მოთხოვნები, რომლებსაც ვაწვებთ, აუცილებლად შესასრულებელია, უბრალოდ, ჩვენ ისინი ვადაში გავწერეთ. ნებისმიერი მოსამზადებელი კურსი თუ ტრენინგი საჭიროებებზე მორგებით განხორციელდება და არა შაბლონურად, როგორც აქამდე ხდებოდა - მაგალითად, ერთი ტრენინგი ყველასთვის. ეს მოხდება რეგიონულად და არა მაინცდამაინც თბილისში, ამიტომაც ძირითადი დისკომფორტი, რაც ფიზიკურ შესაძლებლობასთანაა დაკავშირებული, წესით, უნდა მოიხსნას. ვერც ერთ მასწავლებელს სქემის გარეთ ვერ დავტოვებთ, ეს გამორიცხულია. წინა სქემის მიწუსი სწორედ ეს იყო - მხოლოდ სერტიფიციციური მასწავლებლის ჩართვა სქემაში, ოღონდ რას ნიშნავდა სქემაში ჩართვა, ამის შესახებ ორგანიზაციის, დაუსრულებელ დოკუმენტში არაფერი ეწერა - მხოლოდ საავტორული ორი გამოცდა იყო მითითებული.

პედაგოგს თვალის ჩინივით ვუფრთხილდებით, ვერც ერთ მასწავლებელს, რომელსაც კარგი გაკვეთილის ჩაატარების და მოსწავლის შედეგის გაუმჯობესების უნარი შესწევს, ქუჩაში ვერ გავუშვებთ, იმიტომ რომ, ისედაც ველოდებით ბუნებრივ გადინებას, ასაკის გამო. მე არ ვსაუბრობ 60 წლის პედაგოგებზე, მაგრამ სისტემაში ბევრი 70 ან 80 წლის პედაგოგიც გვყავს, რომლებსაც ისევე ვუფრთხილდებით, როგორც ახალგაზრდა კადრებს. იმის შიში ვეკავებს, რომ მათი წასვლის შემდეგ მომზადებული კადრი არ გვეყოლება, რომ სწრაფად შემოვიყვანოთ სისტემაში. აქედან გამომდინარე, დიდი ყურადღება გადავიტანეთ ახალი კადრების მომზადებასა და 60-კრედიტიან პროგრამაზე. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ხელოვნურად შეექმნათ პედაგოგების სკოლიდან გადინების პირობა. უფრო მეტიც, თქვენ იცით, რომ მასწავლებლის სამსახურში აყვანის წესში ჩაიღო შიდა ვაკანსიის გამოცხადების პირობა. როდესაც მასწავლებელი სკოლიდან მიდის, თუ მას მცირე სათხოპრივი დატვირთვა აქვს, უმჯობესია, სკოლაში შიდა ვაკანსია გამოაცხადოს და საშუალება მისცეს ამავე სკოლის სხვა მასწავლებელს წასული კოლეგის საათები შეითავსოს. ძალიან ბევრი მცირეკონტინგენტიანი სკოლა გვაქვს, სადაც მასწავლებელი მეტია, ვიდრე მოსწავლე. თბილისში კი, სადაც ამის დეფიციტი არ არის, საათების ხელოვნურად გადადანაწილება ხდება, რაც, პირველ რიგში, მოსწავლეთა შედეგებზე აისახება. მასწავლებელს, რომელსაც სრული განაკვეთი ექნება, თავისთავად, ხელფასიც უკეთესი ექნება. სწორედ ამიტომ დავუშვით შიდა ვაკანსიის გამოცხადება, ბუნებრივია, წესების დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ ვაკანსია არ შეივსო სკოლის შიდა რესურსით, გამოცხადდება გარე ვაკანსია.

ამ სისტემას სერტიფიციცია აღარ ჰქვია. მას სხვა სახელი დავარქვით, იმიტომ, რომ ეს მოდელი, სერტიფიციციის გარდა, ძალიან ბევრ დეტალს მოიცავს. მეთოდოლოგიაში გამოცდა აღარ ჩაბარდება, რადგან ის ტრენინგით და ტრენინგ-მოდულის სახით ჩანაცვლდება, რაც პრაქტიკულად უფრო ამუშავებს მასწავლებელს, ვიდრე ქალაქიდან და კალამთან. ჩვენ მხოლოდ ერთადერთი გამოცდა - საგნობრივი კომპეტენცია გვჭირდება. გამოცდა მხოლოდ ერთხელ ტარდება, პირველ საფეხურზე.

- და მაინც, რატომ დადგა ახალი მოდელის ამოქმედების აუცილებლობა, არის თუ არა მოდელი სამართლიანი? ეს კითხვა იმ ოპონენტებისგან მოდის, რომლებიც გარკვეულ წინააღმდეგობას გინევენ, მათ შორის იყვნენ მასწავლებლებიც. არის თუ არა ეს პროცესები რაიმე კავშირში ასოციაციის შეთანხმებასთან?

- აქამდე მოქმედი სერტიფიციციის მოდელის ძირითადი ხარვეზი არასისტემურობა იყო და მასწავლებლის შეფასება ხდებოდა მხოლოდ საგამოცდო ფორმატში, არ იყო ორიენტირებული მასწავლებლის განვითარებაზე და სრულად ვერ ასახავდა მის საქმიანობას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ახალი მოდელის აუცილებლობა იქიდან გამომდინარე დადგა, რომ სისტემა, როგორც ასეთი, არ არსებობდა. პედაგოგის პროფესია რეგულირებადი პროფესიაა, ამიტომ აუცილებლად სჭირდება რეგულაცია. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისათვის საჭირო გახდა ახალი სისტემის დანერგვა. ასევე სისტემის დანერგვა საჭიროა მასწავლებლის ხელშეწყობისთვის და იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგებულიყო სახელფასო პოლიტიკა. კიდევ ბევრი სხვა მიზეზი არსებობს. თვითონ სქემას რაც შეეხება, აბსოლუტურად ობიექტური და გამჭვირვალეა, არადისკრიმინაციული და საჭიროებებზე მორგებული. ძალიან გამიკვირდება, თუ გაკეთდება განცხადებები და კომენტარები ამ კონკრეტულ კრიტერიუმებთან მიმართებაში. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამოძახილი იქნება, რომ ან სქემას არ იცნობენ, ან დეტალებში ვერ ერკვევიან. არადა, სწორედ დეტალებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

რეფორმა, პირველ რიგში, ჩვენი საჭიროებებიდან გამომდინარეობს, ხოლო მისი სისრულეში მოყვანა და მოწესრიგება, რა თქმა უნდა, პირდაპირ თუ ირიბ კავშირშია საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში/ სფეროში ინტეგრირებასთან. საქართველოს განათლების სისტემაში, მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემებისთვის დამახასიათებელი ძალიან ბევრი ელემენტი.



# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს, სახალხო დამცველის ანგარიშზე დაყრდნობით, ერთ-ერთი მედიასაშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას ნაადრევი ქორწინების თემაზე, რომელიც, პუბლიკაციის თანახმად, განათლების სამინისტროს მონაცემებს ეყრდნობა. გამოცემა წერს, თითქოს, 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის იანვრამდე, განათლების მიღება 7367-მა გოგონამ შეწყვიტა, რისი მიზეზიც, უმრავლეს შემთხვევაში, ნაადრევი ქორწინება გახდა.

აღნიშნული ციფრი აღნიშნულ კონტექსტში არარელევანტურია, რამდენადაც ამ რაოდენობაში შედიან ის მოსწავლეებიც, რომლებმაც მიიღეს საბაზო (9 კლასის) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და შემდგომ, ან პროფესიულ სასწავლებლებში განაგრძეს სწავლა, ან დროებით შეაჩერეს და შემდგომ ექსტერნატით დაასრულეს. გარდა ამისა, მოსწავლეები, რომლებსაც, სხვადასხვა მიზეზების გამო, დროებით შეუჩერდათ განათლება ან საბაზო განათლების მიღების შემდეგ, დასაქმება გადაწყვიტეს.

საქართველოს კონსტიტუციით, დანებებით და საბაზო განათლება სავალდებულოა. საქართველოს მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, სავალდებულო საბაზო განათლების დასრულებამდე სწავლის მიტოვების მაჩვენებელი,

ქორწინების მიზეზით, ასეთია:

9 კლასის ჩათვლით ქორწინების გამო მიტოვება

სქესი	2012-2013	2013-2014	2014-2015	სულ
მამრობითი	4	4	1	9
მდედრობითი	43	67	4	114
სულ	47	71	5	123

აღნიშნულ პერიოდში განათლების მართვის საინფორმაციო ბაზა ელექტრონული სისტემით ფუნქციონირებდა და ყველა მოსწავლეზე მონაცემები პერსონალიზირებულია. რაც შეეხება 2011-12 სასწავლო წელს, არსებული ინფორმაციით, სკოლის მიტოვების რაოდენობა ქორწინების გამო შეადგენს 64-ს, ანუ 2011-2014 წლებში სკოლის მიტოვების მაჩვენებელი საბაზო საფეხურის დასრულებამდე სულ 187-ია.

საქართველოში ქორწინების ასაკი 18 წლიდან იწყება. 2011-2014 წლებში 18 წელს მიუღწეველი მოსწავლეების სკოლის მიტოვების მაჩვენებელი (საბაზო და საშუალო საფეხურიდან) შეადგენს 249-ს (მათ შორის 238 გოგონა).

გავრცელებულ პუბლიკაციაში არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ასევე აცხადებენ, რომ ნაადრევ ქორწინებას გართულდებიან ახლავს და პრობლემის მოგვარებას

სჭირდება დემოგრაფიული განათლება, სკოლებში მეტი მუშაობა იმაზე, რომ ნაადრევი ქორწინება ჯანმრთელობისთვის, მათი განვითარებისთვის ცუდია.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სამინისტრო განმარტავს, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებული საკითხები და დემოგრაფიული თემები შესულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში და დაფარულია რამდენიმე საგნის სასწავლო პროგრამაში: საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, სამოქალაქო განათლებაში, ფიზიკურ განათლებასა და სპორტში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ამ საკითხების სწავლება დაწყებული კლასებიდან იწყება. ეკრძოდ, I-VI კლასის სტანდარტით, გათვალისწინებულია თემები, რომლებიც მოიცავს მოსწავლის პირად ჰიგიენას, ჯანსაღი კვების, უსაფრთხო ქცევის და ელემენტარული წესების დაცვას. საბაზო საფეხურზე მოსწავლე უკვე ფლობს ინფორმაციას ჯანსაღი ცხოვრების წესზე, მაგრამ ჩვევებზე (მაგალითად, შინაგანად დაკავშირებული საკითხებზე) თუ ინფექციურ დაავადებებზე (მაგ., შიდსი, ტუბერკულოზი).

რაც შეეხება რეპროდუქციული ჯანმრთელობის თემებს, VIII კლასის სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს სქესობრივი გზით გადაამდებ დაავადებების შესახებ ინფორმაციის მიღებას და რისკების გაცნობიერებას.

კედაგომთა დასახარება

გერმანული ენა



სოფიო დავიტაშვილი

გაკვეთილის ორბანიზების ფორმები

მოგესხენებათ, მოსწავლეებისათვის ძალიან მოსაწყენია მთელი გაკვეთილის განმავლობაში გაუნძრევლად ჯდომა, მასალის ათვისების უნარიც დაბალია. ამიტომ უნდა შევეცადოთ, სასწავლო პროცესი, გაკვეთილის ორგანიზების ხუთი ფორმის დოზირებული კომბინაციით, უფრო საინტერესო გაგხადოთ.

განვიხილოთ თითოეული მათგანი: **ფრონტალური გაკვეთილი** მიმდინარეობს ძირითადად კითხვა-პასუხის რეჟიმში. მასწავლებელი აქტიურ პოზიციაშია და მისი დავალებაა ახსნა-განმარტებების, მინიშვნების, გამოკვლევის საფუძველზე და ვიზუალური მასალის გამოყენებით მიანოდოს მოსწავლეებს ახალი მასალა. საკლასო ოთახში მაგიდების განლაგება ისეა, რომ მოსწავლეები და მასწავლებელი ერთმანეთის პირისპირ არიან და მათ მხედველობითი კონტაქტი აქვთ ერთმანეთთან, მაგრამ სულაც არაა სავალდებულო, რომ ყველა ერთმანეთის ზურგსუკან იჯდეს. შესაძლებელია სხვანაირი ფორმითაც დალაგდეს სკამები და მაგიდები. ფრონტალური გაკვეთილისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია მონაცვლეობა მასწავლებლის აქტიური როლისა და მოსწავლეების დამოუკიდებელ სწავლას შორის. გაკვეთილის ეს ფორმა ცოდნის გადაამუშავებისა და დამახსოვრებისათვის ნაკლებადაა შესაბამისი.

კითხვა-პასუხის ფორმატს, რაც ტრადიციულია ფრონტალური გაკვეთილისათვის, აქვს თავისი ადგილი თემაში შესვლასა და დამოუკიდებლად მუშაობას შორის. ამ პროცესის ამოსავალი ნერტილი ყოველთვის უნდა იყოს კონკრეტული მაგალითი, შესაბამისად, კონკრეტული პრობლემის დასმა, რასაც შემდეგ მოჰყვება ისეთი ნაბიჯები, რომ მოსწავლეებისათვის ეს შესავალი ნაწილი პრობლემის გადაჭრისას მნიშვნელოვან დახმარებად იქცეს. პირველ ფაზაში შესაძლებელია მასწავლებლის მოხსენების დაგეგმვა, რომელიც, ვიზუალური მასალის და მკაფიო სტრუქტურის საშუალებით, მოსწავლეებს შესასწავლ მასალას გაუადვილებს. შეკითხვების დასმისას მიზანი უნდა იყოს, რაც შეიძლება მეტი მოსწავლის ინტეგრირება ამ პროცესში. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ, შიგადაშიგ, მოსწავლეებს დაფიქრების და მინოდებული მასალის გააზრების საშუალება მიეცეთ.

**ფრონტალური გაკვეთილი, თავისი კითხვა-პასუხის ფორმატით ეფექტურია, როცა იგი:**

- გაკვეთილის უდიდეს ნაწილს არ იკავებს;
- კომბინირებულია სხვა, მოსწავლეების აქტიურობაზე დაფუძნებულ მეთოდებთან;
- კარგადაა დაგეგმილი.

კარგ ფრონტალურ გაკვეთილზე მასწავლებელს აქვს კომპეტენტური ექსპერტის როლი. იგი, გარდა იმისა, რომ მაქსიმალურად საინტერესო სახით აწვდის მოსწავლეებს შესასწავლ მასალას, აგრეთვე მათ საკითხისადმი ინტერესს უღვიძებს და სირთულეების ნამოჭრისას ეხმარება. ფრონტალური გაკვეთილი დამოუკიდებლად მუშაობასაც უწყობს ხელს.

**ფრონტალური გაკვეთილი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც:**

- რაღაცის ჩვენებაა საჭირო, რაც მოსწავლეებმა, მოგვიანებით მარტო, წყვილებში ან ჯგუფებში დამოუკიდებლად უნდა გააკეთონ;
- ჯგუფური მუშაობისას და მოსწავლეების პრეზენტაციების შემდეგ, როდესაც მნიშვნელოვანი შედეგების შეჯამება ხდება;
- გამეორება და ვარჯიშია აუცილებელი;
- ტესტები, საკონტროლო სამუშაო ან სხვა სახის შემოწმებები დაგეგმილი;
- მოულოდნელი სირთულეები ნამოჭრება სწავლების პროცესში, რაც ერთობლივ განხილვას მოითხოვს.

როგორც აღნიშნულ იქნა, ფრონტალური გაკვეთილი არაა ცოდნის გადაამუშავებისა და მასალის ათვისებისთვის ეფექტური. მაგრამ, სწავლების ეს ფორმა ყველაზე ხშირად გამოიყენებადა სასკოლო სივრცეში. ზუსტად ფრონტალური გაკვეთილის გამოყენების სიხშირეშია პრობლემა. მასწავლებლების გადმოსახედიდან ფრონტალური გაკვეთილი ხშირად უფრო პოზიტიურად აღიქმება იმ დროს, როდესაც გაკვეთილის ეს ფორმა მოსწავლეებში რეიტინგის მიხედვით ყველაზე ბოლო ადგილს იკავებს.

- ასათვისებელი მასალა უფრო „გავლილია“, ვიდრე ნასწავლი;
  - ეს მეთოდი ყველა მოსწავლეს თანაბარ მოთხოვნებს უყენებს და ყველასგან სწავლის ერთნაირ ტემპს მოითხოვს;
  - როგორც წესი, ფრონტალური გაკვეთილისას მხოლოდ მოსწავლეების ერთ ნაწილთან ხდება მუშაობა. ზღვარი კარგი და ცუდი მოსწავლის მქონე მოსწავლეებს შორის უფრო დიდია.
- რა უნდა იყოს გათვალისწინებული გაკვეთილის ამ ფორმის გამოყენებისას:**
- ყურადღება უნდა მიექცეს ფრონტალური გაკვეთილის დროის ლიმიტს;

- კითხვების დასმისას, მოსწავლეებს უნდა მიეცეთ დაფიქრების საშუალება;
- არ უნდა გაკეთდეს კომენტარი თითოეული მოსწავლის გამოხატვაზე;
- მოსწავლეებს უნდა მიეცეთ ერთმანეთში ინტერაქციის საშუალება;
- გამოხატვითი კმაყოფილება მოსწავლეთა ჩართულობით და სუსტ მოსწავლეებს მიეცეთ დადებითი უკუკავშირი მათი აქტიური მონაწილეობისათვის;
- ასახსნელი მასალა გააფორმეთ სხვადასხვა ვიზუალური ხერხებით;
- დაასრულეთ ამ მეთოდის გამოყენება, როცა ატყობთ, რომ მოსწავლეების აქტიურობა და კონცენტრაცია მცირდება.

ახლა განვიხილოთ ინდივიდუალური მუშაობა. **ინდივიდუალური მუშაობა** არის გაკვეთილის ფაზა, რომლის დროსაც მოსწავლეები დამოუკიდებლად ამუშავენ და ვალდებულნი არიან ფორმას შესაძლებელია გაკვეთილზე ერთი-ორი წუთი ან მთელი გაკვეთილი დაუთმოთ. ხშირად ამ ფორმას „ჩუმად მუშაობის“ ფორმადაც მოიხსენიებენ, რადგან, როგორც წესი, ამ დროს ლაპარაკი აკრძალულია. თუ ძალიან მკაცრად განვიხილავთ, ინდივიდუალურ მუშაობას მეთოდს ვერ ვუნოდებთ. ის არის გაკვეთილის ორგანიზების ფორმა. ინდივიდუალური მუშაობა ძალიან ბევრ მეთოდთან გვხვდება.

მნიშვნელოვანია, „ჩუმად მუშაობის“ ფორმის გამოყენებისას და ვალდებულება მკაფიოდ და ნათლად იყოს ჩამოყალიბებული. ყველა მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- რაში მდგომარეობს დავალების არსი;
- როგორ უნდა გააკეთოს;
- რამდენი დრო აქვს დავალების შესასრულებლად;
- რა მოეთხოვება შემდეგ.

თუ რამდენიმე დავალება ერთად მისაცემი, მაშინ წერილობით უნდა მოხდეს დავალების პირობის ვიზუალიზება. მაგ. ფოლიო, დაფა ან სამუშაო ფურცელი. მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში ჩარევა მხოლოდ მაშინაა საჭირო, თუ მოსწავლეებს დიდი სირთულეები ექმნებათ, ან ცალკეული მოსწავლეები დახმარებას ითხოვენ. სხვა შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოსწავლეებმა დამოუკიდებლად იმუშაონ. აგრეთვე, მათთან გარკვეული უნდა იყოს, რომ თუ დახმარება სჭირდებათ, უნდა გამოიყენონ წინასწარ შეთანხმებული ნიშანი, რადგან ინდივიდუალური მუშაობისას, სიჩუმე ნამოძახილმა არ უნდა დაარღვიოს. საჭიროა დროდადრო კლასში გავლა და იმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური დახმარების შეთავაზება, რომლებიც გაკვეთილზე პასიურები არიან და აკადემიური მოსწრებაც არა აქვთ მაღალი.

თუ მასწავლებელი ამჩნევს, რომ მორცხვი და სუსტი მოსწავლე დავალებას კარგად უმკლავდება, მას აუცილებლად გამხნელება სჭირდება, რომ თავისი ნაშრომი ყველას თვალწინ წარმოადგინოს.

ასევე ყურადღება უნდა მიექცეს იმ მომენტს, რომ ინდივიდუალური მუშაობის დაწყებისთანავე მოსწავლეებისათვის ნათელი იყოს, რა ბედი ეწვევა მათ მიერ შესრულებულ დავალებას. მოსწავლეები ბევრად უფრო კონცენტრირებულად მუშაობენ, თუ იციან, რომ მათი ნაშრომები აგროვდება, ერთმანეთში გაიცვლება ან რაიმე ფორმით შემოწმდება. ინდივიდუალური მუშაობის დასრულების შემდეგ მუშაობის გაგრძელების ბევრი შესაძლებლობებია:

- შედეგების გაცვლა წყვილებში. წყვილები ერთმანეთს წარუდგენენ საკუთარ ნამუშევრებს და საბოლოოდ ერთობლივად წარმოადგენენ პლენუმზე;
- ჯგუფური მუშაობა. ის იწყება იმით, რომ მოსწავლეები რიგის მიხედვით წარადგენენ თავიანთი ნამუშევრებს, რათა შემდეგ ყველამ ერთობლივად დაამუშაოს შედეგები;
- შესაძლებელია შედეგების წარდგენა პირდაპირ პლენუმზე, ყველას თვალწინ. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ რაც შეიძლება ბევრმა მოსწავლემ წარმოადგინოს ნამუშევარი და შემოთავაზებული იყოს განსხვავებული დავალებები, თუ, რა თქმა უნდა, მოცემული დავალება ამის საშუალებას იძლევა;
- ფსიქოლოგების გადასახედიდან ინდივიდუალური დავალების მიცემას აზრი აქვს მაშინ, როცა კონკრეტული მასალის ათვისების ეფექტურობას ინდივიდუალური მუშაობა განაპირობებს;
- რთული ტექსტის ანალიზი, რაიმე პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება მოსწავლემ დამოუკიდებლად ვარჯიშის საფუძველზე უნდა შეძლოს. მხოლოდ ასე შეიძლება სამუშაო ტექნიკებში თავდაჯერებულობის შექმნა, რაც ჯგუფური მუშაობის დროსაც საჭიროა;
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარია უმაღლესში სწავლისას და შემდგომში – სამსახურში. ამ პროცესში მოსწავლეები სწავლობენ სირთულეების

დამოუკიდებლად გადალახვას და მათთან გამკლავებას;

- ეს ფორმა იძლევა ინდივიდუალობის გამოვლენის საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ მარტო მდინარე მუშაობის პროცესი, შესაძლებელია სხვადასხვა მასალა და მიდგომა იქნეს გამოყენებული;
- გაკვეთილზე ინდივიდუალური მუშაობა კარგი ვარჯიში შეიძლება იყოს საშინაო დავალებების მომზადებისთვის. ისინიც ხომ, უმეტეს შემთხვევაში, დამოუკიდებლად უნდა მომზადდეს;
- ინდივიდუალური მუშაობა არის აგრეთვე იმის წინაპირობა, რომ შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ ჯგუფებთან მუშაობისას შედგეს თანამშრომლობა და მოსწავლეებს ჰქონდეთ გადამწყვეტილების მიღების უნარი, რაც შემდეგ ჯგუფში მუშაობისას შეჯერდება.

შესაძლებელია, გაკვეთილის დასაწყისში, მოკლე ინდივიდუალური მუშაობის ფორმები ჩაერთოს წინა გაკვეთილზე გავლენ მასალასთან მომდევნო გაკვეთილის მასალის დასაკავშირებლად. ახალი თემატიკის შეტანისას შესაძლებელია წინარე ცოდნის გააქტიურება „ჩუმად მუშაობის“ ფორმატში. ყოველთვისაა შესაძლებელი ფრონტალურ გაკვეთილში ინდივიდუალური მუშაობის ფაზების ჩართვა. ჯგუფური მუშაობის დროსაც შედეგადაა, თავიდან გარკვეული ინფორმაციის ინდივიდუალურად დამუშავება, რასაც მერე ჯგუფის წევრები ერთად შეაჯერებენ.

მაგრამ მუშაობის ამ ფორმის გამოყენებისას, შესაძლოა ძალიან რთული ან ძალიან ადვილი დავალება პრობლემად იქცეს. ერთნაირი სამუშაო დროის მიცემაც პრობლემურია. ზოგიერთი მოსწავლე ძალიან სწრაფად აგვარებს დავალებას და მერე მონყენილობისაგან აღარ იცის რა აკეთოს, მაშინ, როცა სხვებს მეტი დრო სჭირდებათ. ზუსტი დროის შესარჩევად კარგია, თუ მოსწავლეებს დაავალბთ, სახშირი დიდი მოცულობის ინდივიდუალური დავალების შესრულებისას დრო დაინიშნონ. შემდეგ, შედეგების მიხედვით, საშუალო ციფრის გამოყენება შეიძლება. მოკლევადიანი ინდივიდუალური დავალებების შესასრულებლად მსგავსი პრობლემები არ ფიქსირდება.

ინდივიდუალური მუშაობის წარმატებით ორგანიზება შესაძლებელია, თუ მასწავლებელი, დაგეგმვისას, ქვემოთ მოცემულ კითხვებზე მხოლოდ კარგად გააზრებულ და გაანალიზებულ და არა ნაჩქარევ პასუხებს გასცემს:

1. არის თუ არა დავალების პირობა ისე ნათლად ჩამოყალიბებული, რომ მოსწავლეები ხვდებიან, რა მოეთხოვებათ მათ?
2. არის თუ არა დავალების სირთულე ისეთი, რომ რაც შეიძლება მეტი მოსწავლე შეძლებს მის დაძლევას?
3. შესაძლებელია თუ არა კლასში მშვიდი სამუშაო გარემოს შექმნა, კონკრეტული წესების გამოყენებით?

დასასრული შემდეგ ნომერში

მისი სჯეროდით და გამოირჩეულად უყვარდით

ძნელია ქალბატონ ნუნუზე წარსულ დროში ლაპარაკი. თუმცა, მასთან ერთად გატარებულმა ათეულმა წლებმა იმდენად დიდი კვალი დატოვა თითოეულ ჩვენგანში, რომ სათქმელი ძალიან ბევრია. მრავალმხრივი განათლებისა და პიროვნული მომხიბვლელობის წყალობით, განსაკუთრებით სასიკეთო გავლენას ახალგაზრდებზე ახდენდა. ამიტომაც სცემდნენ პატივს, სჯეროდათ მისი და გამოირჩეულად უყვარდათ კიდეც ქართული ლიტერატურა.

1966 წლიდან იწყება ნუნუ ბუაძის პედაგოგიური საქმიანობა, 1978 წელს კი როგორც საუკეთესო პედაგოგი, დაჯილდოვდა „სახალხო განათლების წარჩინებულის“ მედლით.

2014-2015 წლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას ხელმძღვანელობდა. გასაკვირი არაა, რომ ხანდახან მკაცრიც იყო ხოლმე. მის ამ თვისებას „კეთილი სიმკაცრეს“ ვეძახდით. თავისი პრინციპების ერთგული იყო და ვერ ეგუებოდა უპასუხისმგებლობას, თვალთმაქცობას, უვიცობას... თუმცა, არასოდეს კარგავდა წონასწორობას – შენიშვნებში თუ კრიტიკული აზრის გამოთქმისას ყოველთვის კორექტული იყო, არასოდეს ჭირდა მასთან საერთო ენის გამოხატვა. ქალბატონ ნუნუსთან საუბარი (არამარტო ლიტერატურაზე) ბევრის მომცემი და საინტერესო იყო. ამიტომაც იქნება დაუფინყარი მასთან გატარებული წლები კოლეგებისა და მოსწავლეებისათვის.

43-ე საჯარო სკოლის დირექტორი, პედაგოგიური კოლექტივი

მშობალთა კრება

როსა ყოველი ნუთი ძვირფასია

გავშვი თავგადასავლების გარეშე ხომ ვერ ბაიზრ-დევა... ხან ძალღი ბაჰკარავს თავაშის დროს კბილს, ხან ცხვირიდან სისხლი წასკდება, ხან რა და ხან რა... მთავარია, მშობელი არ დაიზნოს და ექიმის მოსვლაზე სწორად შეაქოს სიტუაციის გართვა. სწორად ამის შესახებ გვესაუბრება პედიატრი ლალი აფხაზაშვილი.

უხსო სხეულები

პატარა ნივთების პირში, ცხვირსა და ყურებში შეჭურთვა არცთუ იშვიათია ცნობისმოყვარე პატარების თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრებაში. ქლიავისა თუ ჭერმის კურკას, ხურ-და ფულს, ლილებს, ქინძისთავეებს, ნემსებს და ვინ მოთვლის, კიდევ რას ეტანება ბავშვი პანანინა ხელებით სამყაროს შეცნობის პროცესში. ამათგან ყველაზე საშიში, რაღა თქმა უნდა, მჩხვლეტი, ბასრი, წვრილი საგნებია, რომლებიც ორგანიზმს მთლიანობას არღვევს და სისხლიან პირღებინებას, სუნთქვის გაჩერებას და სხვა მძიმე შედეგებს იწვევს. თუ ბავშვს ჩასუნთქვის ან ხველის დროს სასუნთქ მილში რამე გადასცდა და სული ვეღარ მოითქვა, პირქვე დაკიდეთ და ზურგზე, ბეჭებს შორის, ენერგიულად დაჰკარით ხელი, ხოლო თუ ამან არ უშველა, მაშინვე უახლოეს პოლიკლინიკაში ან საავადმყოფოში გააქციეთ.

ჭრილობები და ნაკანრები

პატარა-პატარა ჭრილობებისა და ნაკანრების უებარი წამალია სუფთა წყალი და საპონი, რომელიც ჭრილობას ბამბის ტამპონით ან სუფთა ნაჭრით უნდა ნაუსვავთ და კარგად ჩამობანოთ. გარდა ამისა, ჭრილობის გასასუფთავებლად შინ ყოველთვის იქონიეთ წყალბადის ზეჟანგის ხსნარი. თუ იარაღი არაა, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. არანაკლებ საყურადღებოა ჟანგბადის საგნით მიყენებული ნახევლეტი ჭრილობა. თუ ბავშვმა სახე დაიზინა, რა უმნიშვნელოც უნდა მოგეჩვენოთ ტრავმა, უთუოდ აჩვენეთ სპეციალისტს. თუ ბავშვმა მაჯის შიგნითა მხარე გაიჭრა, ფრთხილად დაათვალიერეთ - შესაძლოა, ნერვი ან მყესი იყოს დაზიანებული. უთხარით, ამოძრავს თითები, მოხაროს ხელი. თუ ამ მითითებებს ვერ ასრულებს, მიმართეთ ტრავმატოლოგს. თუ ჭრილობაში ქუჩის მტვერი ან მინის ნაწილაკები მოხვდა, ექიმთან მისვლამდე გამდინარე სუფთა წყლითა და საპონით ჩამობანეთ, დაამუშავეთ წყალბადის ზეჟანგი, მერე კი მიმართეთ ექიმს ტეტანუსის საინააღმდეგო შრატის ან აცრის გასაკეთებლად.

სხოველის ნაკბენი

თუ პატარას ძალღმა შემთხვევით გაჰკრა კბილი, ექიმთან მისვლამდე ჩამობანეთ ჭრილობა ზემოთ აღწერილი წესით. ყურადღებით ადევნეთ თვალი ძალღს, რათა ცოფის ნიშნები არ გამოგეპაროთ. მნიშვნელოვანია ნაკბენის ადგილი. ყველაზე საშიშია ზედა კიდურები და სახე. ამ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ანტირაბიულ კაბინეტს. ასევე საიფათოა კატის და შინაური მღრღნელების (ზაზუნას, ზღვის გოჭის და სხვათა) ნაკბენი.

სისხლღენა

ჭრილობების უმრავლესობა რამდენიმე წუთის განმავლობაში სისხლღდინარეა. ეს, ერთი მხრივ, კარგია, რადგან სისხლს ჭრილობაში მოხვედრილი ჭუჭყის ნაწილი გამოაქვს, მაგრამ როცა სისხლღენა ძლიერი და უწყვეტია, ის აუცილებლად უნდა შეეჩეროთ. ხელის ან ფეხის სისხლღარღებებიდან სისხლღენის შეჩერება ადვილია - ამისთვის კიდურის მალღა აწვევც კმარა. დაანვინეთ ბავშვი და სისხლღდინარე კიდურის ქვეშ ამოუღეთ ერთი ან ორი ბალიში. დამწოლი ნახვევის დაღებისას დოღბანდი რამდენიმე ფენად უნდა გადაახვიოთ. თუ სისხლღენა მეტისმეტად ძლიერია, შეეცადეთ, სისხლის ჭავლი თითის დაჭერით შეაჩეროთ და ჭრილობის ზემოთ დოღბანდი, ღვედი ან სუფთა ნაჭერი გადაუჭიროთ. ეს იგივე ღახტია. ვიდრე საავადმყოფოში მიხვალთ, ის ნახვევარ საათში ერთხელ ორიოდე წუთით მოუშვით, მერე კი ისევ მოუჭიროთ.

სხვირიღან სისხლღენა

ცხვირიღან სისხლღენის შეჩერების რამდენიმე მარტივი ხერხი არსებობს. ხშირად საკმარისია, ბავშვი რამდენიმე წუთით მშვიღად დაღვავთ. სისხლი რომ არ გადაეყლაპოს, თუ ზის - ოღნავ წინ დაახრევიეთ თავი, თუ წევს - გვერღზე გადაბრუნეთ. ნება არ მისცეთ, ცხვირი მოინწინდოს ან წესტოღზე ცხვირსახოცი მიიჭიროს. კარგია მუღზე, ცხვირის ფუქესთან, წარბებს შორის, ცივი საფენის ან ყინულის დაღება - სიცივე ხელს უწყობს სისხლღარღვთა შეკუმღვას და სისხლღენის შეჩერებას. ცივის დაღება სასურველია კისრის უკანა მხარესაც. ამისთვის გამოღდება ცივ წყალში დასველებული ნაჭერი, ყინულის ბუღტი, მაცივრიღან გამოღებული წყლის ბოთლიც კი. გარდა ამისა, მოამზადეთ მარილის კონცენტრირებული წყალხსნარი, დასველეთ შიგ ბამბის ორი ტამპონი და პატარას ორივე ნესტოში ჩაუღეთ. 10 წუთის შემდეგ კი ფრთხილად გამოაცალეთ. სისხლღენის შეჩერების შემდეგ ბავშვს ეზოში ნუ გაუშვებთ, შინ, სიმშვიღეში დატოვეთ, მეტადრე, თუ გარეთ ცხელა - მზისღულზე ცხვირიღან შესაძლოა ისევ წასკდეს სისხლი. თუ პატარას ცხვირიღან სისხლი ხშირად სღის, პედიატრის კონსულტაციის გარეშე ნუ დატოვებთ.

ღამწრობა

თუ ღამწრობა ძლიერია (სხეულის დიდ ფართობს მოიცავს ან სახეზეა და ა.შ.), თანაც საავადმყოფოში ბავშვის წაყვანას უფრო ნაკლები დრო დასჭირღება, ვიდრე ექიმის მოსღვლას, გირჩევთ, პატარა თვითონვე წაიყვანოთ საავადმყოფოში. თუ ღამწრობა უმნიშვნელია, დაზიანებულ კანზე დაა-

ღეთ ყინული. თუ საოჯახო აფთიაქში ღამწრობის საწინააღმდეგო მალღამო გაქვთ, ჯობს, მკურნალობა პირღაპირ ამ მალღამოთი დაიწყოთ. ძლიერი ღამწრობისას კანზე სითხით სავსე ბუღტუკები ჩნღება. მათთან სიფრთხილღ გმართებთ, რადგან შეხებისას სკღება და ინფექციის კარიბჭღ იქცევა. ღამწრობისას ნუ გამოიყენებთ ანტისეპტიკურ საშუაღებას (იოღს, ბრიღიანტის მწვანეს, რივანოლის ხსნარს და ა.შ.) - ის მღგომარეობას კიდევ უფრო გააუარესებს.

მზოთ ღამწრობა

მზოთ ღამწრობის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუაღებაა მისი თავიღან აციღება. მზეს შეუჩვევლი აღამიანისთვის, მით უფრო - ბავშვისთვის, ღამწრობის მისაღებაღ მზის პირღაპირი სხივების ქვეშ გატარებული ნახვევარი საათიც კმარა. მზოთ ღამწრობას ჩვეულებრივი მკევაბვი საცხიცი შეღლის. კარგია კანის ღამწვარი უბნების მანვნით დაზელა. ამის შემდეგ პატარა რამდენიმე დღით მოაროღეთ მზეს. მიეცით გრილი სითხე. ყურადღება მიაქციეთ შარღვის ინტენსიურობას.

იოგბის ღაჭიღვა

ასეთი რამ მოუსვენარ პატარებს ხშირად ემართებათ. თუ ბავშვს მუხლის მყესები დაეჭიმა, მოხერხებულად დაანვინეთ და შეუზღღეთ მოძრაობა. თუ მუხლი შეუსიღდა, შესაძლოა, მოტეხილობასთან გვექონღეს საქმე. მუხლის დაზიანებისას არცთუ იშვიათად ხრტილიც ზიანღება და თუ სათანადო მკურნალობა არ ჩატარღა, ტკივილები შესაძლოა ნლობით გაგრძელღეს. გაბზარული და დაჭიმული ადგილი თავღაპირღველად უმტკივნეულია, მაგრამ დროთა განმავლობაში თავს იჩენს ტკივილი არამცთუ მოძრაობისას, მოსვენების დროსაც კი. ნებისმიერი დაჭიმულობა, თუ მას ტკივილი და შესიღება მოჰყვება, ექიმის, ტრავმატოლოგის ჩარევის მოითხოვს და არა მარტო იმისთვის, რომ მოტეხილობა არ გამოგევაპროს, არამედ იმიტომაც, რომ სწორად დაღებული არტაშანი და სახვევები დაჭიმული კიდურის სწრაფ განკურნებას უწყობს ხელს.

მოტეხილობა

მოზრღლთა მყიფე ძღლები მართლაც რომ იმტვერევა, ბავშვის შეღარებით რბილი ძღლები კი ახალგაზრდა ტოტებიოთ იღრიკება და იხლიჩება. არსებობს მოტეხილობის მეორე ტიპიც - მზარდი ძღლის ბოლო ფრაგმენტის მორყევა ან მოტეხა. ყველაზე ხშირად ასეთი რამ მაჯასთან ხღება. გვეღება ისეთი მოტეხილობებიც, რომლებიც გარეღან თითქმის შეუმჩნეველია, დაზიანებული კიდური სიღება და მტკივნეული ხღება, რამდენიმე საათის შემდეგ კი მასზე მოღურჯო-მოშავო ღაქები ჩნღება. ბურთით თამაშისას ხშირად იხლიჩება თითის ძღლები. ამ დროს თითი ჯერ სიღება, მერე კი ღღურჯღება. ბავშვი თუ საჯღომით დაეცა, შესაძლოა რომელიღე ნეკნი გაბზაროს. დაზიანება გარეღან არ ჩანს, მაგრამ წინ დახრის, სირბილისა და ხტუნვისას ბავშვი ზურგის ტკივილს უჩივის. თუ მოტეხილობას ეჭობთ, მიმართეთ ტრავმატოლოგს. სასურველია იცოღეთ არტაშნის დაღების (მოტეხილი კიდურის იმობიღიზაციის) სწორი ტექნიკა, რადგან ტრასპორტირებისას მოტეხილი კიდურის ტკივილი აუტანელი ხღება.

არტაშნის დაღების წესი

არტაშანი საკმაოღ გრძელი უნდა იყოს, კოჭის მოტეხილობისას კოჭიღან მუხლამღე სწვეღებოღეს, მუხლის მოტეხილობისას - კოჭიღან თეძომღე, თეძოს მოტეხილობისას - იღლიღან ქუსლამღე, მაჯის მოტეხილობისას - თითებიღან იღაყვამღე. გრძელი არტაშნისთვის ფიცარი დაგჭირღებათ, მოკლეს კი რამდენიმეჯერ გადაკეცილი მუყაოსგანაც გააკეთებთ. არტაშანი 4-6 ადგილას უნდა დაამაროთ ნებისმიერი საშუაღებით: დოღბანდით, ცხვირსახოციოთ, ქსოვილის ნახვევით, მაგრამ მეტისმეტად მჭიდროდ ნუ გადაახვევთ, რათა სისხლღმა თავისუფლად იმოძრაოს. ზურგის დაზიანებისას ბავშვის გადაყვანა საკაცით მოიწინეთ. დაშვეღულ ადგილას ზურგი გამართული უნდა ჰქონღეს, ამიტომ თუ საკაცე არ გაქვთ და დაშვეღული ლიბზე წევს, რომელიც რბილია და ადვილად იზნიქება, უმჯობესია, მუცელზე დაანვინოთ. გამართული უნდა იყოს დაზიანებული კისერიც. თუ ეს ვერ მოხერხღა, შეიღება მისი უკან გადახრა. მთავარია, ბავშვმა თავი წინ არ დახაროს. ღავინის მოტეხილობისას დიდი სამკუთხა ნაჭრისგან გააკეთეთ გადასახვევი, ჩამოჰკიდეთ ბავშვს კისერზე და ხელის ქვეღა ნაწილი იღაყვიღან მაჯამღე ზედ ჩამოაღებინეთ.

თავის ტრავმები

მას შემდეგ, რაც პატარა გვერღზე გადაბრუნებასა და საწოლიღან ჩამოცურებას იხწავლის, ხშირად დაეცემა, დაცემის დროს კი, ბუნებრივია, თავსაც დაარტყამს. თუ ამ დროს მან ტირილი ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ შეწყვიტა, სახის კანის ფერიც ჩვეულებრივი, მოვარდისფრო აქვს და არც აღებინებს, უნდა ვიფიქროთ, რომ დაცემისას ტვინი არ დაზიანებია და, ამის კვალობაზე, საშიშიც არაფერია, მაგრამ თუ პირღებინება დაენყო, მაღა და ფერი დაეკარგა, მოითენთა და ძილი მოერი, მაგრამ ჩაძინებული მალღევე იღვიძებს, ჭირვეულობს, აუცილებლად აჩვენეთ ნევროლოგს, მანამღე კი ეცადეთ, მშვიღად ამყოფოთ, დაანვინოთ და სითხის მიღება შეუზღღეთ. თუ ბავშვმა დაცემისას გონება დაკარგა, ის დაუყოვნებლივ უნდა გაასინჯოთ ნევროლოგს. მოგვიანებით შესაძლოა თავი იჩინოს თავის ტკივილღა, სიღემღე, მხეღველობის გაუარესებამ, კრუნჩხებმღა. ყველაზე ხშირად თავის დარტყმას მოჰყვება დარტყმის ადგილის შესიღება და სიღურჯე, ე.წ. კოპი. სანამ კოპი გაჩნღება, განთიღებულ ადგილას შეაზიღეთ კარაქი - სიღურჯე აღარ წარმოიქმნება, ხოლო თუ დარტყმის ადგილი უკვე ამოიბერა, დაღეთ ზედ ყინულიანი საფენები.



მედიკამენტებით მოწავღლა

ოჯახში, საღაც პატარა ბავშვია, მედიკამენტები არ უნდა იხახებოღეს მისთვის ხელმისაწვდომ ადგილას. მნიშვნელობა არ აქვს, ეს აბები მოზრღიღებისთვისაა თუ ბავშვებისთვის - დიდი დოზით მიღება იწვევს ორგანიზმის მოწამვლას, ინტოქსიკაციას. ხშირად მშობლები სავალალოდ გვიან ხღებინან, რომ ბავშვმა აბები გადაყლაპა, ჭირს იმის გარკვევა, სახელღობრ რომელი მედიკამენტი მიიღო მან. გირჩევთ, ასეთი ნვრიღმანების გარკვევისთვის დროს ნუ დაკარგავთ, დაუყოვნებლივ წაიყვანეთ პატარა საავადმყოფოში, ტოქსიკოლოგიურ განყოფილებაში, საღაც ექიმთან ერთად უფრო ადვილად დაადგენთ მიზეზს და მღგომარეობიღან გამოყვანასაც მოახერხებთ. ყოველი წუთი გადამწყვეტია, დროს ნუ დაკარგავთ!

სტუმარი

# თურქეთი ჩემი სამშობლოა, დედა სამშობლო კი - საქართველო!



ქევისარ რუჰი (ქეთი ხანთაძე)

**თურქეთის სახელმწიფოსა და განათლების სამინისტროს ერთობლივი გადაწყვეტილებით, 2014 წლის სექტემბერში, დაამტკიცდა „ქართული ენის სასწავლო პროგრამა“, რომელიც თურქეთის საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლებას იტვალისწინებს. ამ გადაწყვეტილებით რეალურად იქცა ქართული წარმომავლის თურქი მოქალაქეების მრავალსაუკუნოვანი ოცნება.**

**პროგრამის ავტორია დღევანდელი ნომრის სტუმარი ქალბატონი ქევისარ რუჰი (ქეთი ხანთაძე), წარმოშობით ქართველი, ენათმეცნიერი, მწერალი, მთარგმნელი.**

**მასთან ერთად, პროგრამის შედგენაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის, თურქეთში ქართული კულტურის სახლის ხელმძღვანელს, ერდალ ქუჩუქს (ელიზბარ ციმნარიძე), პროგრამის თარგმნაში მონაწილეობდნენ პროფესორი ნანა კაჭარავა და ანკარის უნივერსიტეტის მამისტრანტი მარიამ გაფრინდაშვილი.**

– ქალბატონო ქევისარ, როგორც ვიცით, ქართული ენის სასწავლო პროგრამის შესაქმნელად მუშაობა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. გვიამბეთ როდის და როგორ დაინიჭეს ეს ყველაფერი?

– ამ ისტორიულ ფაქტს მართლაც დიდი ხანი ელოდა თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა. ქართული კულტურის სახლის ინიციატივითა და თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, ამ უკანასკნელთან თანამშრომლობის საფუძველზე, მომზადდა „ქართული ენის სასწავლო პროგრამა“ (ნუსხა), როგორც არჩევითი საგანი თურქეთის სკოლების V-VIII კლასების მოსწავლეებისთვის. აღნიშნული პროგრამა ეროვნული განათლების სამინისტროს სწავლებისა და აღზრდის საბჭომ, 2014-2015 სასწავლო წლიდან მოყოლებული, დაამტკიცა 2014 წლის 9 და 17 სექტემბრის გადაწყვეტილებებით და დაიბეჭდა „ოფიციალურ გაზეთში“. ამ მიმართულებით მუშაობა თურქეთში, პირველად, 2004 წელს დაიწყო, როდესაც ეროვნული განათლების სამინისტროსგან მშობლიურ ენაზე განათლების უფლება მოვითხოვეთ. 2012 წელს კი მივმართეთ მოთხოვნით, სკოლებში ქართული ენა არჩევითი საგანი ყოფილიყო. 2013 წელს მწერალმა და თარგმანმა ფაჰრეთ ინ ჩილოღლუმ სასწავლო პროგრამა და ქართული ენის სწავლების ნუსხა მოამზადა. აღნიშნული სამუშაო 2014 წელს თურქეთისა და საქართველოს პედაგოგთა, სპეციალისტთა და თარგმანთა ჯგუფმა გააგრძელა. ქართველი სპეციალისტების მიერ მომზადებული პროგრამა თურქულად მარიამ გაფრინდაშვილმა თარგმნა. მე ამ თარგმანის რედაქტორი ვარ. თარგმანისა და რედაქტირების დასრულების შემდეგ მივხვდი, რომ პროგრამა ნაკლები იყო. გადავხედე უფრო ადრე მომზადებულ ქართული, ჩერქეზული და აფხაზური ენების პროგრამებს. ქართული ლათინური ანბან-

ით ისწავლება, ჩერქეზული და აფხაზური კი – კირილიცით. ქართულს საკუთარი ანბანი აქვს, პროგრამაც ამის გათვალისწინებით უნდა მომზადებულიყო. თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტრო პროგრამის „ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო-დოკუმენტი“ კრიტიკრიუმების შესაბამისად მომზადებას ითხოვდა. საქართველოში პროგრამა ამ დოკუმენტის საფუძველზე შეიქმნა, მაგრამ ჩემი აზრით, მას დახვეწა სჭირდებოდა. ნიმუშად „ევროპული ენების საერთო ჩარჩო-დოკუმენტი“, სხვა ენებისა და კილოკავების პროგრამები ავიღე და ქართული ენის პროგრამა მოვამზადე, რომელიც თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროს ოთხმა თანამშრომელმა დაწვრილებით შეისწავლა. ასე რომ, პროგრამა კოლექტიური შრომის შედეგია. სამუშაოში ქართული კულტურის სახლიც ჩაება. თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტრო, როგორც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის უწყება, ადრე თუ გვიან, პროგრამას უთუოდ დაამტკიცებდა, ოღონდ პროგრამას მათთვის სასურველი სახე უნდა მისცემოდა, რაც მე გავაკეთე. ერდალ ქუჩუქმა სოციალური კავშირების დამყარებისა და სამუშაოს კოორდინირებისათვის ფასდაუდებელი შრომა გასწია. ბოლოს და ბოლოს, პროგრამა დამტკიცდა, რის შემდეგაც საქარის ილის გეივეს ილჩეს სოფელ ნურფოსმანიეში ქართული ენის არჩევითი საგნად სწავლება დაიწყო. თურქეთელი მოსწავლეებს ქართულ ენას, თურქეთის განათლების სამინისტროს გეივეს რაიონის განყოფილების მიერ დანიშნული, საქარიაში მცხოვრები სანიმუშო ქართველი, მუსტაფა კოლატი (ქოლოტაშვილი) ასწავლის. მადლობას ვუხდის ყველას, ვინც ამ საქმეში მონაწილეობა მიიღო და დახმარება აღმოგვიჩინა. თურქეთის ქართველებს ვულოცავთ ამ სასიხარულო წამოწყებას. ეს მათთვის ისტორიული მნიშვნელოვანი მქონე პერიოდის დასაწყისია. ეს დღე, ოქროს ასოებით ჩაინერება ისტორიაში.

– რა იგეგმება სამომავლოდ, რა იქნება შემდეგი ეტაპი?

– შემდეგი ეტაპი იქნება ის, რომ საშუალო სკოლებისა და რელიგიური სკოლების V-VIII კლასების მოსწავლეები, მთელი თურქეთის მასშტაბით, ქართულ ენას მიანიჭებენ უპირატესობას, როგორც არჩევითი საგანს. შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდება ქართული წარმომავლის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, რომელთა მშობლიური ენა ქართულია, ასევე ყველას, ვისაც აინტერესებს ქართული ენის შესწავლა. მოვუწოდებთ, უპირატესობა მიანიჭონ ქართული ენის შესწავლას. სკოლაში რომ ქართული ენა ისწავლებოდეს, საჭიროა, მინიმუმ 10 მოსწავლის მიერ აღნიშნული საგნის არჩევა. არსებული რეგულაციის მიხედვით, სკოლის ხელმძღვანელობა კლასს იმ შემთხვევაში გახსნის, თუ ამას მოითხოვს, სულ მცირე, 10 მოსწავლე.

დღემდე არსებულ მსგავს სასწავლო პროგრამებს შორის, ქართული ენა პირველია, რომელიც საკუთარი ანბანით შემოედის თურქეთის რეალობაში. გარდა ამისა, მიღებული გადაწყვეტილებით, ქართული ენა აღიარებულია როგორც საერთაშორისო ენად, ისე ადგილობრივ ცოცხალ ენად. ამ მხრივ, გვსურს მადლობა გადავუხადოთ ეროვნული განათლების სამინისტროს ნაბი აფჯის, ეროვნული განათლების სამინისტროს, სწავლებისა და აღზრდის საბჭოს თავმჯდომარეს, პროფესორს, დოქტორს – ემინ ქარიფს, დაწყებითი განათლების გენერალურ დირექტორებს და სამინისტროს ყველა იმ თანამშრომელს, ვინც საკუთარი წვლილი შეიტანა ამ საქმეში; ასევე, ყველა იმ სპეციალისტს საქართველოდან და თურქეთიდან, ვინც ქართული ენის სასწავლო პროგრამა მოამზადა. განსაკუთრებული მადლიერებით მინდა გამოვყო ყველაზე მნიშვნელოვანი – ახმედ ოქჯანის (მელაშვილი) და მისი მეგობრების მიერ თურქეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმის წამოწყება. მათ მიერ ანთებული ცეცხლი დღესაც გვიანათებს და გვიჩვენებს გზას. განსაკუთრებულ პატივს მივადგებთ ახმედ ოქჯანისა (მელაშვილი) და მისი მეგობრების ხსოვნას.

– ქალბატონო ქევისარ, გვიამბეთ თქვენი წინაპრების წარმომავლის შესახებ

– წარმომავლით ქართველი ვარ. თურქეთში, ბალიქესირის გონენის რაიონში დავიბადე. ქართველები მიცნობენ, როგორც ქეთევან ხანთაძეს. ჩემი წინაპრები ბათუმიდან იყვნენ, 1877-1878 წლებში, ოსმალეთ-რუსეთის ომის დროს, გადაასახლეს ანატოლიაში. როცა მეკითხებიან, სადაური ვარ, ბათუმიდან გადმოსახლებული ჩემი ქართველი წინაპრები რომ არ მოვიგონო, ასე მგონია, კავკასიის მთებს ვაწყენინებ. ეს ჩემი ფიქრი იმ მთებმა არ იცინა, თორემ მე კი ვიცი. დაწყებითი და საშუალო სკოლა გონენში დავამთავრე, ახლა ანკარაში ვცხოვრობ. ბავშვობა და ახალგაზრდობის რამდენიმე წელი პატარა დაბაში გავატარე. მიმანია, რომ ამ მხრივ ილბოიანი ვარ. ლიცეუმში თექირდალის უფასო პანსიონში, „მასწავლებელთა სკოლაში“ დავამთავრე. უფასო პანსიონატში სწავლა, კიდევ ერთხელ, ჩემს ილბოიანობაზე მიუთითებს. 1984 წელს პაჯუტეპეს უნივერსიტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დავამთავრე. 1995 წელს კი სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დავიწყე სწავლა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ვეღარ დავასრულე. ვფიქრობ, ეს ჩემთვის დიდი დანაკარგია. მაგრამ არა უშავს, იურისტთა საზოგადოებამაც, ჩემი სახით, დიდი დანაკლისი განიცადა. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.

– თქვენ ხართ ქართული წარმომავლის მთარგმნელი და ენათმეცნიერი, პედაგოგი, ლიტერატორი, მწერალი, არა ერთი წიგნის ავტორი, მათ შორის საბავშვო მოთხრობების. წერთ თუ არა საქართველოზე და რას გვიამბობთ თქვენი საქმიანობისა და მოღვაწეობის შესახებ?

– 2004 წელს ჩემი პირველი მოთხრობების კრებულს „ქარვის ქალები“ მიანიჭეს, ნაჯი გირგინსის სპეციალური პრემია, რომელიც თურქეთში საუკეთესო პირველი წიგნისთვისაა დანესებული. 2009 წელს გამოიცა ჩემი მეორე კრებული – „ჭოროხით მოლელავდა შენი გრძელი თმები“, რომელსაც მიენიჭა ორი ჯილდო: თურქეთის ერთ-ერთი უდიდესი მწერლის ორჰან ქემალისა და ცნობილი ჟურნალისტის, ანგარ-დაცვილი, რეჰა მაიდინის სახელობის პირველი ხარისხის პრემიები. ჩემი მესამე და მეოთხე წიგნები 11-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი – „ფერადი თურქული სინემასკოპი“ და „ფერების თამაში“.

ჩემი საბავშვო და საყმაწვილო მოთხრობები დიდი მონონებით სარგებლობს. საგანმანათლებლო კომისიის გადაწყვეტილებით, ეს ნაწარმოებები თურქეთის რესპუბლიკის სასკოლო სახელმძღვანელოებში შევა. ამჟამად ახალ წიგნზე ვმუშაობ, რომელიც საბავშვო რომანია და უახლოეს მომავალში გამოიცემა. „შენი აზრით თეთრი გემი მოვა?“ ჩინგიზ აიტმატოვის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. შეიძლება ითქვას, ბიოგრაფიული ხასიათის წიგნია.

რაც შეეხება ჩემს საქმიანობას. ამჟამად ვმუშაობ ანკარაში, თურქეთის რესპუბლიკის ელექტროქსელის გენერალურ სამმართველოში, პრესისა და პროტოკოლის განყოფილების დირექტორის მოადგილედ. თავის დროზე, ორენოვანი ჟურნალის „ფიროსმანი“ რედაქტორი ვიყავი, რომელიც გამოდიოდა სტამბოლში, თურქულ-ქართულ ენაზე. ასევე, რედაქტორობას ვუწევ ჟურნალს „მაჭახელი“. ჩემი რედაქტორობით გამოიცა თურქულ ენაზე დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“. ამასთანავე, ქართული ენიდან თარგმნილი მოთხრობებისა და სხვადასხვა მინაარსის წიგნების რედაქტირებაც მე მეკუთვნის. ვთარგმნე ლექსებიც. ართვინის კულტურულ ცენტრში, რომელიც ანკარაში გაიხსნა, ორი წლის განმავლობაში, ქართული ენის მასწავლებელი ვიყავი.

– 26 წლის წინ, პირველად იყავით საქართველოში... გვიამბეთ თქვენი განცდებისა და შთაბეჭდილებების შესახებ... – Ben Batuma gidiorum – მე მივდივარ ბათუმში

საქართველოში მოგზაურობის დროს დღიურს ვწერდი, იმ რეველში მოკლე-მოკლე ფრაზებს ვინიშნავდი, მერე ჩავხედავ და დანვრილებით გამახსენდება-მეთქი. ასე მიმჩნია ეს ჩანაწერები. დეტალები კი ჩემი მეხსიერების შორეულ უჯრედებში შეიფუჭუნენ. ახლა, მრავალი წლის შემდეგ, ეს ჩანაწერი წინადადებები მაინცდამაინც ბევრს ვერაფერს მახსენებს... შავიზღვისპირეთში, 1989 წელს, ჩემი პირველი მოგზაურობა იყო... „ბათუმი, 1989 წლის 5 ივლისი... გაღმა, სარფში რომ გადავედით, ხალხური ცეკვის ტანსაცმელში გამოწყობილმა ბავშვებმა თავი უღებო გადმოვცვეს. ძალიან გულთბილი შეხედდნენ იყო. ერთმანეთს გადავხევიყით. არავის ვიცნობთ. რა საოცარი გრძობაა ეს! მრავალი წლის მონატრებული ვხევი უცნობ ადამიანებს... ბათუმის ნახვა მეჩქარება. ბათუმი, ჩვენი ზღაპრული ქალაქი. ბათუმი, ჩვენი წინაპრების მიერ თვალზე ცრემლით დატოვებული მარად ნანინანატრი ქალაქი... აქ ყველა ქართულად საუბრობს. მერე და რა ლამაზად დაბარაკობენ! რა მშვენიერი და დახვეწილი ენა ყოფილა ქართული! რა საამურად ხვდება ყურს... ქალაქის თვალთვლებაში დავვისაღამოვდა. უკიდურესად სტუმართმოყვარე არიან აქაური ქართველები... აქაურ საოცარ სტუმართმოყვარეობას ემატება საზღვრების გახსნის შემდეგ ქვეყანაში პირველად ჩამოსული სტუმრების მიმართ გამოჩენილი გადამტეხილი ინტერესი და პატივისცემა – სხვანაირად შეუძლებელია აქ განცდილის შეფასება... – აი, ეს არის ჩემი შთაბეჭდილებები, რომლებიც ბათუმში ყოფნის პირველ დღეს ჩავინერე დღიურში. ბათუმის შემდეგ, თვითმფრინავით თბილისიკენ ვავემუქეთ...

დარბაისლური თბილისი

საქართველოში 1989 წელი იდგა... თბილისში რომ დავემვით, ცხვირში გამონაბოლქვი გაზების მძაფრი სუნი გვეცა. თბილისი ეს გახლავთ: ფართო გამზირები, გამონაბოლქვი გაზების სუნი და სიმწვანე. აი, ეს იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება... შემდეგ დღეებს ქალაქის დათვალეობებს ვუთმობთ. პატივისცემის აღმძვრელი საოცარი სიღარბისლ სუფევს თბილისში. წმინდა და ხელმეუხებელი, უმანკო სიღამაზე... ფართო და თვალუნდენელი გრძელი პროსპექტები, სოლიდური და დიდებული შენობები მარადიულობის გრძობას აღვიძებს ადამიანში... შენობების გამოჩენა გამავალი ფასადების სერიოზულობას, უკანა მხარეს, ბალებში ნარდის მოთამაშე კაცების, ეზოებში ბურთის დადენებული ბავშვებისა და სკამებზე ჩამომჯდარი ტკბილ მუსიკაში გართული ქალების სასიამოვნო ატმოსფერო ცვლის. ქალაქს უძველესი, მელანქოლიური, მაგრამ არნახულად კდემამოსილი სიღამაზის დალი აზის... პროსპექტებსა და ქუჩებში ქალების გაზვიადებული ჩაცმულობა იქცევს ყურადღებას. გარე სამყაროსათვის ახლად გაღებული კარები ამ ქვეყანაში მოუწესრიგებლობისა და კომპლექსურობის საბაბს იძლევა. მთელი დღის განმავლობაში თვალმისაცემი მაკიაჟით დამშვენებული ახალგაზრდა გოგონები, მათი მორთულ-მოკაზმული ბლუზები და

სტუმარი

მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები... ცოცხალი არ იყოს განცვიფრებული ვართ. ეს საქართველოა, მაგრამ ჯერ კიდევ იგრძნობა საბჭოთა კავშირის გავლენა... ყველგან, მანქანებში, სახლებში, აივნებზე საქართველოს დამოუკიდებლობისდროინდელი დროშის გვერდით, ამერიკის დროშაც მოჩანს. ასე მგონია, თითქოს ისეთ ქვეყანაში ვიმყოფები, სადაც ორი საზღვარი აღმდგომი სისტემა ერთმანეთს შეხვედრია, ერთმანეთში გადახლართულა.

დღიურში ასეთი ჩანაწერი მაქვს: „აქაურობის ყველაზე დიდი ნაკლი სხვა ქვეყნებთან კავშირგაბმულობის უქონლობაა“. ტელეფონზე დარეკვა ხომ ნამებას უდრის. ფოსტაში გინიშნავენ დროს. თუ გაგიმართლა და იმავე დღეს შეგაერთეს, ხომ კარგი, თუ არა და სხვა დროისათვის გადაგივადებენ. შიდა საქალაქო კავშირი უადვილესია და იაფი, მაგრამ საქალაქთაშორისო ან საერთაშორისო საუბარი, შეიძლება ითქვას, შეუძლებელია. ერთი ორჯერ ვცადეთ, მაგრამ შემდეგ უარი ვთქვით თურქეთში დარეკვაზე. როცა გავიგე, თუ რა ძალიან იაფი იყო განათლება, კავშირგაბმულობა და ჯანმრთელობის სფერო, ალტაცება ვერ დავმალე სოციალისტური სისტემის მიმართ. მომსახურების სფეროს ესოდენ დაბალ ხარისხს კი, მე მგონი, ადვილად ვერ შევძლებ.

ვაგრძელებთ თბილისის ქალაქის დათვალიერებას. „მუზეუმი ღია ცის ქვეშე“... არასოდეს დამავინწყდება იქ ნანახი სამფეხა სკამი, ზუსტად ისეთი, ბაბუაჩემის ნახელავს რომ ჰგავდა. ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ყველანი აგვატარა სიმღერამ, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: „შენი, ტურფავ საქართველო ოქროს თასია, შენი ლექსი და სიმღერა ღვივნის ფასია...“ მხატვარ ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში, მისი სურათების გვერდით, პიკასოს ორიგინალიც ვნახეთ. ეს გახლდათ თვით მხატვრის, ქალბატონი ელენეს პორტრეტი... ჩემი დღიურის ერთ გვერდზე ასეთი რამ ჩამინიშნავს: „ანდ-

როპოვის ყურებზე ბევრი ვიცინეთ“. როგორც ჩანს, რესპუბლიკის მოედანზე სადღესასწაულო აღლუმებისათვის აშენებული ტრიბუნის წინ ჩავიარეთ, რომელიც უცნაური და სასაცილო არქიტექტურით გამოირჩეოდა.

თბილისში ბევრი დაუვიწყარი წუთები გვახსოვს. მაგალითად, თურქოლოგ, ქალბატონ ლილას ოჯახში პირველად გეახვლით ნიგვზის მურაბა. ქალბატონ ლია ჩლაიძესთან ერთად, ბაზარში ბებიჩემისათვის ქინძის თესლი შევიძინე და, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ გაიხარებდა ბებიჩემი! ბატონი ოთარ გიგინეიშვილის მიერ გამოგზავნილი მიკროავტობუსით ყაზბეგში წავედით ექსკურსიაზე, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე. ყაზბეგის მთები დაუჯერებლად ლამაზი და არაჩვეულებრივად მშვენიერი იყო. ნეტავ, ოდესმე თუ მელრისება ისევე მათი ნახვა?... „საქართველოში რთულია იყო ქალი. მთელი იმ სიმძიმისა და საქმის გამო, რასაც იგი ტვირთულობს, ერთადერთი ჯილდო – სუფრაზე მისი მისამართით ენამჭევერულად წარმოთქმული სადღეგრძელოა...“

ნამოსვლის ბოლო დილას, მზის ამოსვლამდე გამეღვიძა. გულზე რაღაც სევდა მანვა... შორით მთანინდა მოჩანდა. თბილისის მოგონებებიდან ყველაზე უფრო ნათლად ის (ისი-ფერი სისხამილია ჩამოწა მესხიერებაში. მზის ამოსვლამდე ფანჯარას ვერ მოვშორდი... მთელი დღე გულაჩუყებულები ვიყავით, ცოტაც და გული ამოგვიჯდებოდა. დილიდან დაწყებული, თუ კი ვინმეს ვიცნობდით, ყველა მოვიდა გამოსამშვიდობებლად. გართობა, სევა, დაბრუნების სიხარული, განმშორების ტკივილი, ყველაფერი ერთმანეთში აირია... საღამოს კი ჩავსხედით მანქანებში და, „კონვოის წესით“, რკინიგზის სადგურისაკენ გავეშურეთ.

ჩემს დღიურში, საქართველოში მოგზაურობასთან დაკავშირებით, აი, ეს ბოლო წინადადება ჩამინერია: „ანკარისა და თბილისის მონატრებათა შორის გავიჭედე“. ერთი წუთით ან-

კარა გვერდზე გადავდით... საოცარია, როდის მოვასწარი იმ ქალაქის შეყვარება, რომელსაც მდინარე ორად ჰყოფს, იქ ყოფნისას თუ მანამდე? არ ვიცი, პასუხი ნამდვილად არა მაქვს. იდგა 1989 წელი.

ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ ამბობთ: „თურქეთი ჩემი სამშობლოა, დედა სამშობლო კი – საქართველო! ქართული ენა ჩემი ენაა, ჩემი ისტორიული ენა!“. თქვენი ლტოლვა სამშობლოსადმი განუსაზღვრელია... და მაინც, რა არის სამშობლო გადასახლებული ადამიანისთვის?

მუხაჯირობაზე დავეწვინე ერთი პატარა ტექსტი: „გადასახლება იმას ნიშნავს, რომ შენი სვედიანი წარსული ყველგან თან ატარო. მიტოვებული მიწის მონატრება გაუსაძლისი სიმწარეა, რომელიც გულს გტკენს. და ამ ტკივილს არავითარი ნამალი არ ანელებს. აღარც ის მიტოვებული მიწა გეკუთვნის ანი და აღარც ის გეხება, რაც ზედ ხდება... ის კი გასაყვედურობს, რატომ მიმატოვეო? შენც იმ მიწაზე, რომელზეც ამჟამად ცხოვრობ, გაუთავებლად ერთსა და იმავე შეკითხვას უსვამ საკუთარ თავს: „აქ რა მესაქმება?“ შენი სული იმ მიტოვებულ ადგილს მისტირის, შენი სხეული კი იმ ადგილს ვერ ეთვისება, სადაც ახლა ხარ. ისე ცხოვრობ, თითქოს შენი ერთი ნაწილი სხვაგანაა დარჩენილი... ცდილობ, სევდა სიხარულად აქციო. მაგრამ ყველაზე მხიარულ სიმღერებსაც კი სევდა შერევია, რომელსაც ასე ადვილად ვერ განდევნი. სხვაზე მეტს ცდილობ, რომ მიწას ჩაეჭიდო. შენთვის ცხოვრება ორმაგად რთულია, მძიმე და ნაღვლიანია. ახალ ენას ეუფლები და ცდილობ, საკუთარი ენა არ დაივიწყო. შენს ენაზე აღარ ლაპარაკობ, მაგრამ მისი სიცოცხლის გახანგრძლივებას ცდილობ, რომ შენს არსებობასაც ბოლო არ მოეღოს“.

ესაუბრა მამა ყიფიანი

ინფორმაცია

თანამშრომლობა სამხენებლო პროფესიული განათლების განვითარებისთვის

საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“, სამხენებლო სექტორსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის, თანამშრომლობის თემაზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, კოლეჯების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, NCTD-ს, სამხენებლო ორგანიზაციების, კერძო კოლეჯების, დამსაქმებელთა და ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლები, ასევე მენარმეები და ექსპერტები.

განათლება მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული სამუშაო ბაზრის რეფორმასთან, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს ეკონომიკის განვითარებაში. ასევე კერძო სექტორიც იღებს სარგებელს პროფესიული განათლებიდან – ადვილად პოულობს შესაფერის კადრს. საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე კომპანიას კონკურენტუნარიანს სწორედ კვალიფიციური კადრი ხდის. კერძო სექტორის მოთხოვნილება, ჰყავდეს კვალიფიციური და მოტივირებული კადრი, შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიულ სასწავლებლებთან მჭიდრო კავშირით.

შეხვედრაზე ასეთი თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითები განიხილეს კოლეჯ „სპექტრის“ მაგალითზე. კოლეჯის თანამშრომლობა კერძო სექტორთან იძლევა სტიმულს, კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობა დამყარდეს სხვადასხვა კომპანიასთან, რაც აუცილებელია უკვე არსებული სექტორის გასავითარებლად და ახალი, მომავალზე ორიენტირებული სამხენებლო საგანმანათლებლო პროგრამების შესაქმნელად.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

დედაქალაქის მერიამ მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

მემორანდუმის მიზანია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ტერიტორიაზე, ურთიერთთანამშრომლობის გზით, გა-

რემოს დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი საკითხების პოპულარიზაციისათვის გამწვანებითი ღონისძიებების ჩატარება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა და მოსწავლეთა შორის ეკოლოგიური საკითხების პოპულარიზაცია.

მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და თბილისის მერია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ითანამშრომლებენ მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

ლია კარის დღე საზოგადოებრივ კოლეჯში „მერმისი“



საზოგადოებრივ კოლეჯში „მერმისი“ განხორციელებულ სიახლეებსა და ბოლო პერიოდის ახალ პროექტებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე გაეცნო. მინისტრი სტუდენტთა რეგისტრაციის პროცესითაც დაინტერესდა და მომავალ პროფესიულ სტუდენტებსაც გაესაუბრა.

კოლეჯში, რამდენიმე დღეა, პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია და ღია კარის დღეები მიმდინარეობს. „მერმისი“ 34 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს, ხუთი ძირითადი მიმართულებით: აგარაულო, ბიზნესის ადმინისტრირების, ხელოვნების, ინჟინერიისა და მიმართულებათაშორისი სპეციალობები. ყველა პროგრამა სახელმწიფოს მიერ ფინანსდება და სწავლის მსურველთა ასაკი შეზღუდული არ არის.

კოლეჯში, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება და მათი შემდგომი დასაქმება მიმდინარეობს, ამისათვის ყველა პირობა შექმნილი – თანამედროვე სასწავლო გარემო, განახლებული პროგრამები და მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალი პედაგოგები. კოლეჯს ჰყავს წარმატებული და სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული სტუდენტები და კურსდამთავრებულები. 2014 წელს, WorldSkills Georgia-ს ეროვნულ კონკურსში, კოლეჯის ორმა სტუდენტმა პირველი ადგილი აიღო პროფესიებში – ვებდизაინი და სტილისტი, ისინი გაზაფხულზე მსოფლიო შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად ბრაზილიაში გაემგზავრებიან.

კოლეჯის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან კომპანიებში: „თეგეტა მოტორსი“, „მათე მოტორსი“, „ახალი ქსელები“, „ელსელემა“, „კავკასუს ონლაინი“, „სამოსელი

პირველი“, რესტორანი „ბაბილო“, რესტორანი „კრუიზი“, „ნეოტეკი“, „ქართული სამოსი“, „ეკალონი“, „საბა+“, „ივერია“, „იფანი“ და სხვ.

2013 წლიდან საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ ინკლუზიური პროფესიული განათლების პროექტშია ჩართული. 2014 წლიდან დაიწყო კოლეჯის ადაპტირება, უნივერსალური დიზაინის შესაბამისად. სასწავლო გარემოსთან ერთად, სსსმ სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია საჭირო სასწავლო რესურსები.

კოლეჯში სსსმ სტუდენტების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. 2014 წლის საშემოდგომო მიღებაზე 42 სტუდენტი 14 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა. სსსმ სტუდენტებთან მუშაობს უესტური ენის 5 თარჯიმანი, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს უსინათლო სტუდენტისთვის გზის დასწავლას და დამოუკიდებელი მგზავრობისათვის მომზადებას, სპეციალური ასისტენტი-მძღოლი ეტლით მოსარგებლე სტუდენტისათვის. ასევე, შექმნილი იქნა აუდიოჩანწერები უსინათლო სტუდენტებისათვის და მოწვეულ იქნა სპეციალისტი, რომელმაც უზრუნველყო კოლეჯის კუთვნილ კომპიუტერებზე (ასევე, სტუდენტთა პირად ლეპტოპებზე) ხმოვანი პროგრამის – NVDA 2014 – ჩაწერა.

საგაზაფხულო მიღება „იკაროსში“

პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია გრძელდება. რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია საქართველოს მასშტაბით არსებულ საინფორმაციო ცენტრებში, საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში. რეგისტრაციის მსურველმა თან უნდა იქონიოს მხოლოდ პირადობის მონომბა.

რეგისტრაცია მიმდინარეობს პროფესიულ კოლეჯ „იკაროსში“, სადაც ხორციელდება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები: მზარეული; სარესტორნი საქმის მწარმოებელი; ბარმენი; სომელიე; მიმღები რეცეფციონისტი; ტუროპერატორი; გიდი; სასტუმრო საქმის მწარმოებელი; კონდიტერი.

კოლეჯში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებიც სწავლობენ. საგაზაფხულო მიღებაზე კოლეჯი მათ კვლავ მიიღებს და, სავარაუდოდ, მეტი რაოდენობით, ვიდრე გასულ წელს. კოლეჯში რეგისტრაცია 2015 წლის 10 თებერვალს დაიწყო და 2015 წლის 5 მარტს მთავრდება.



# ქიული შარტავასა და ჯემალ აჯიაშვილის აღზრდილი სკოლა დღეს

ახალსენაკის ცენტრში, თითქმის ასი წლის წინათ, რვანლიანი სკოლა გაიხსნა, რომელიც მეორე მთლიანი შრომის სკოლად იწოდებოდა. საკლასო ოთახების უქონლობის გამო, სასწავლებელი ორად იყო გაყოფილი. 1924-25 სასწავლო წელს სკოლაში პირველი კურსდამთავრებულები გამოცდები. მაშინ სკოლაში მოღვაწეობდნენ იმ დროისთვის გამოცდილი პედაგოგები, ძირითადად მამაკაცები: ანტონ ფირცხალავა, მისა თათარაშვილი, ალექსანდრე ჩხეტიანი, ვლადიმერ დემურია, ბესარიონ კიზირია, ვანო ჭანტურია, შალვა ელიაშვილი, სამსონ ჯობაძე, ემა ხეცურია, კოტე გუგუნიანი და სხვები.

1935-36 სასწავლო წლიდან ქალაქის №2 საშუალო სკოლად ჩამოყალიბდა, დირექტორობა ვარლამ განგიას დაეკისრა. მაშინ სულ 23 რუსულ-ქართული კლასი იყო. მალე რუსული კლასი გამოეყო და სენაკში დამოუკიდებელი რუსული სასწავლებელი შეიქმნა. როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, მასწავლებელთა ძირითადი ნაწილი ომში გაემგზავრა. ამ მიმე უკვე სკოლას საპატიო მოვალეობა დაეკისრა - ფოთიდან მიეღო ევაკუირებული დაჭრილი მეომრები და გაეგზავნა მენჯის შოსპიტალში. საჭირო გახდა სასწავლო დანადგარებისა და მერხების ერთ-ერთი მასწავლებლის სახლი გადატანა. მალე კლასის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში, ეხმარებოდნენ სოფლის მოსახლეობას, აგროვებდნენ ნივთებს ფრონტზე გასაგზავნად. მათ მხარი დაუჭირეს ახალციხელ ქალთა ინიციატივას და 1447 მანეთის საჩუქარი გაუგზავნეს მეომრებს. 1942 წლის ბო-

ლოს ხელმეორედ შეგროვდა, ამჯერად, ფულადი დახმარება ნითელი არმიისათვის - 20140 მანეთის ოდენობით.

1944 წელს, სასწავლებელს „ქალთა სკოლა“ ეწოდა, მაგრამ მალევე გადაკეთდა მ. გორკის სახელობის საშუალო სკოლად. სწორედ ამ წელს მოეწვინა ქვეყანას უახლესი ისტორიის გმირი **ქიული შარტავა** და ცნობილი მთარგმნელი და ქართული ენის მესობზე **ჯემალ აჯიაშვილი**. ისინი მე-2 საშუალო სკოლის მოწინავე მოსწავლეები გახდნენ, რომელთა სულიერი მწვრთნელები იყვნენ: **ტერენტი ყიფიანი** - გერმანიაში გამოცემული ლექსების ავტორი, **ვერა ბალათურია**, **ნიკო შამათავა**, **პანტელეიმონ ბიჯგუა**, **ვლადიმერ დავითაია**, **ფენია დარასელია**, **გრიშა ხოფერია**, **ლარისა ჩიტაია** და სხვები.

შარტავასა და აჯიაშვილის თაობის დასაყრდენი და სულიერი საზრდო გახდა წინაპართა ნაფუძარი, რომელიც, ეგრისის სამეფოს ბრწყინვალეების სახით, გმირობის, ბრძოლის, სამშობლოსადმი თავდადების მაგალითია. შეუძლებელია, სკოლის მოსწავლეთათვის მისაბაძი არ ყოფილიყო ღირსეული სენაკელების ცხოვრება და ნიჭიერება. ამ მხრივ გამორჩეული ადგილი უკავია უნიჭიერეს არტისტ **აკაკი ხორავას**, მსახიობ **ვალერიან გუნიას** და საზოგადო მოღვაწე **შალვა დადიანს**, პოეტ **გიორგი ჭალაიძეს**, ენათმეცნიერს, აკადემიკოს **არნოლდ ჩიქობავას**, ექიმ-აკადემიკოს **პეტრე ქავთარაძეს**. ცნობილ მკვლევარსა და მეცნიერს **ანდრია აფაქიძეს**, მფრინავ გმირს **ალექსანდრე წურწუმიას** და სხვებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, სკოლას ქიული შარტავას სახელი ეწოდა. მოენყო მისი სახელობის კაბინეტი ფოტოგამოფენით, რომელიც წარმატებით აგრძელებს საქმიანობას. დღეს ყველა პირობა შექმნილი - ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის, გათბობისა თუ კლას-კაბინეტების სახით, რათა მოსწავლეებმა თანამედროვე დონის განათლება მიიღონ. პედაგოგთა დიდმა ნაწილმა წარმატებით ჩააბარა სასერტიფიკაციო გამოცდები, ხოლო კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ ეროვნულ გამოცდებს.

სკოლაში ჩატარებული ყველა ღონისძიების ჩამოთვლა შეუძლებელია. მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევჩერებ ყურადღებას. მოსწავლეები ჩართული არიან საერთაშორისო მოძრაობაში „დავასუფთაოთ მსოფლიო“, დევიზით - „ჩვენი ქვეყანა, ჩვენი პლანეტა, ჩვენი პასუხისმგებლობა“, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმირებას ნარჩენების მდგრადი მართვის შესახებ. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ღონისძიება არაორდინარული სათაურით - „უამი შეკრებისა და სხვათა“ (ხელმძღვანელი - **ლუარა ჯიქია**). მოსწავლეთაგან დაკომპლექტებულმა „პარლამენტმა“ იმსჯელა მეტად აქტუალურ თემაზე - „საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სამშობლოში დაბრუნება“. გამართულმა ცხარე დისკუსიამ დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურა.

## სასკოლო აქტივობა



# ისკოლა შენი ქვეყნის ისტორია

სსიპ თბილისის №72 საჯარო სკოლის (დირექტორი - **მანანა კიკაჩიანი**) III<sup>ს</sup> კლასმა (დამრიგებელი - **ნინო მიქიაშვილი**) წარმატებით განახორციელა პროექტი „იცოდე შენი ქვეყნის ისტორია“. პროექტზე მუშაობა სასწავლო წლის დანებებიდან მიმდინარეობდა და მიეძღვნა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს.

მოსწავლეებმა მოილოცეს თსუ-ს ეზოში მდებარე წმინდა დავითის ტაძარი. ვინაიდან უნივერსიტეტის დაარსება დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს უკავშირდება, ბავშვები უნივერსიტეტს ეწვივნენ, დაათვა-

ლიერეს მისი ბიბლიოთეკა და მუზეუმი, მოინახულეს ღირსეულ მამულისეული საფლავები. მოსწავლეები მოპოვებული ჰქონდათ მოკლე ბოგრაფიული ინფორმაცია მათი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ; დაამზადეს თვითნაკეთი ნივთები აღმაშენებლის და გიორგი ჭყონდიდელის შესახებ, მოაწყვეს ნივთების და ნახატების გამოვენა, მოინახულეს დავით აღმაშენებლის ძეგლი. ისტორიის კათედრის ლექტორმა უნივერსიტეტის მუზეუმის ხელმძღვანელმა, ბატონმა **სანდრო მარუაშვილმა** საინტერესო ლექცია ჩაუტარა ღონისძიების მონაწილეებს.

პროექტის ფარგლებში, შეისწავლეს წმინდა დავით გარეჯელის ცხოვრება და მოღვაწეობა. დათვლიერეს მთაწმინდა, იქვე წარმოადგინეს წმინდა ბერის მოღვაწეობის და „დავით გარეჯის“ სამონასტრო კომპლექსის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია.

19 თებერვალს კი სკოლას ეწვივნენ საპატიო სტუმრები: თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტის კოორდინატორი, რექტორის მრჩეველი **მარინე ლომოური**; თსუ-ს ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, მუზეუმის უფროსი სპეციალისტი **მამუკა ჭანტურია**; ისტორიის აკადემიური დოქტორი, მუზეუმის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი **სანდრო მარუაშვილი**.

III<sup>ს</sup> კლასელებმა პროექტი „იცოდე შენი ქვეყნის ისტორია“ თავიანთი მომზადებული სლაიდ შოუებითა და ვიდეო მასალით წარმოადგინეს. ფაქტობრივად, ეს



იყო თემატური კონფერენცია, რომელმაც სტუმრების დიდი მონობა დაიმსახურა მონაწილეობით. მათ მადლობა გადაუხადეს ადმინისტრაციას და პედაგოგებს ასეთი შემეცნებითი პროექტის განხორციელებისათვის.

მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა, პედაგოგის კრეატიულობა, მოსწავლეების მონაწილეობა. მადლობა გადაუხადეს მოადგილეებს პროექტის მხარდაჭერისათვის.

**ნანა აბრამიშვილი**  
72-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე



მოსწავლე უამოქმადი



ნინო ხორაძე – ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე, დამრიგებელი – ნინო კორძე

რას ეუბნება ერთი ხე მეორეს

ცა ჩვენია კიდით კიდე, მინაც ჩვენი – შინ და გარეთ, მაგრამ თუკი არ დაგვინდეს, თუ მინიდან გამოგვყარეს,

მოდი, წამოვიხსნათ ფრთები, მოვიაროთ არემარე, თვალთ ვნახოთ ცისქვეშეთი, გავსცდეთ დედამიწის კარებს

თუ ჩვენს სულებს არ მიიღებს ღმერთი, მუდამ მოლიმარე, თუ სამოთხე კარს არ გვიღებს, თუ ცაშიც არ დაგვიფარეს,

თუკი სჯერათ, რომ ჩვენ, ხეებს, მოჭრილ ხეებს არ გვაქვს სული, ამოუფესოთ ცრემლით ხეებს ყველა ორმო და უფსკრული.

ჩვენი ცრემლით გამოვჭედოთ, ფოთლის ფრთებით ვიმკოთ მხრები, მოვწყვიტოთ და ჩვენც გავბედოთ, ჩამოვყაროთ ვარსკვლავები.

ტყეს თუ ცეცხლი წაეკიდა, და თუ წვიმა აღარ მოდის, მოდი, ცრემლი ვღვაროთ ციდან და ჩავაქროთ ტყეში შფოთი.

თუ ჩვენს თხოვნას არ მიიღებს, ღმერთი, მუდამ მოლიმარე, მოვიაროთ კიდით კიდე და მოვძებნოთ თბილი მხარე,

ვილოცოთ და ცოდვილები შევავედროთ მზეს და მთვარეს.

სკოლა, როგორც სოფელს ასოცხლებს



დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „მაუწყე მე უფალო გზა, რომელსაც ვიდოდე, რამეთუ შენდამი აღვიღე სული ჩემი“.

მე ვარ ნინო ქურდაძე სოფელ წრომიდან. იცით, სად არის ჩემი სოფელი? – ხაშურისა და ქარელის მიდამოებში. ის პატარა, მაგრამ ბევრის მნახველი და მომსწრეა, ლამაზია წელიწადის ყველა დროს, აქ ჩიტებიც სხვანაირად ჭიკჭიკებენ და ყვავილებიც სხვანაირად ყვავდებიან. მისი უდიდესი სილამაზე და განძი ეკლესიაა, რომლითაც ასე ვამაყოფთ წრომელები. ის სოფლის შუაგულში დგას, ყველა მხრიდან და კუთხიდან ჩანს, მფარველია მრავალჭირგამოვლილი სოფლისა.

არც ისე დიდი ხანია, რაც წრომის სკოლაში გადმოვედი სასწავლებლად, სკოლის შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი, გარდა იმისა რომ იქ სწავლობდა მამაჩემი, პაპა და სხვ. რითიც თავიდანვე მიმიზიდა და დადებითად განვეწყე სკოლის მიმართ, ეს იყო სკოლის აქტი-

ური ჩართულობა სხვადასხვა პროექტებსა და კონკურსებში. ყოველ ზაფხულს, არდადეგებზე ჩამოსვლისას, ამხანაგებისაგან მესმოდა საინტერესო ამბები მათი წარმატების შესახებ. აქ გადმოსვლის შემდეგ მეც სკოლის საზოგადოების „ოჯახის“ წევრი გავხდი.

აქ ყველა მხიარული, თბილი და მიზანდასახულია, განსაკუთრებული ყურადღება, რა თქმა უნდა, სასწავლო გარემოს ექცევა. უპირველესი საზრუნავი დირექციისა და მასწავლებლების აკადემიური საქმიანობაა. მათი დაუზარელი და მუდმივი ძალისხმევით, მოსწავლეებიც ვცდილობთ, დაეფასოთ ჩვენი მასწავლებლების შრომა, მონდომება და სწავლით გული გავუხაროთ. სკოლა პატარაა, მოსწავლეების სიმცირეს განიცდის. თუმცა, თავისი საქმიანობით გამორჩეულია. გამორჩეული კურსდამთავრებულები ჰყავს წრომის სკოლას, რომლებიც ჩვენთვის, მოსწავლეებისთვის, მაგალითს წარმოადგენენ. ვიმედოვნებ, მომავალში მეც

ერთ-ერთი მათგანი ვიქნები და მისაბაძი გავხდები ჩემი სკოლის მომავალი მოსწავლეებისათვის. ჩემს დიდ ბებიას სკოლისა და სოფლის შესახებ თხრობა დასრულებული ჰქონდა, წერას როცა შევეუდექი და სიამაყის გრძობით გაჟღერებული გული არ მითმენდა თქვენი თვის არ გადმომეცა ის გრძობა, რასაც განვიცდიდი და ახლაც განვიცდი. ამ წერილში ჩემი სიამაყის მიზეზზე მინდა მოგიხსნათ. ბებიის თითოეული ნაამბობზე აღტაცება თანდათან მემატებოდა, ჩემი სოფელი, სკოლა ქებას იმსახურებს. წრომელებს თამამად შეგვიძლია, თავს ვუწოდოთ ბედნიერი.

„ჩემი სკოლა“ – მისი ისტორია ასეთია: 1912 წელს სამკლასიანი სკოლა გაუხსნია თავად ლევან ციციშვილს, მასწავლებლად მის მეუღლეს ნადია ციციშვილს უმუშავია. ამ დროს სულ 25-30 ბავშვს უსწავლია. 1940 წელს აუცილებლად, რომელიც დღესაც დგას, სადაც იზრდებიან, სწავლობენ ღვთის სიტყვას მოწყურებული მოზარდები,

რომელთაც შეუძლიათ სამშობლოსათვის დაუფიქრებლად გასწირონ თავი. აქ მომუშავე მასწავლებლები ცდილობენ, პირნათლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი და ახალგაზრდობამდე მიიტანონ ღვთისა და კაცის ხმა.

ცხოვრება ხანმოკლეა. ადამიანს უნევს მრავალი ტანჯვის, ბარიერის, განსაცდელის გადალახვა და, თუ სათანადო ცოდნით არ აღიჭურვა ახალგაზრდობა, დაიმონებს წუთისოფელი. ცხოვრებისეული გამოწვევების გადალახვაში დიდია მასწავლებლის როლი, ასევე მოსწავლის ჩამოყალიბებაში – მეუბნება ბებია.

ჩვენს სკოლაში პროფესიონალი და კვალიფიციური მასწავლებლები არიან, რომლებიც მაქსიმუმს აკეთებენ, რომ ჩვენი სკოლა ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სტანდარტებს არ ჩამორჩეს. თუმცა, გულში სევდას ვგრძნობ, იცით, რა მანუხებს?! – ჩემი სკოლის დღევანდელი. სოფლის დიდი პრობლემაა მძიმე ეკონომიკური

მდგომარეობა, სოფელს ტოვებს ახალგაზრდა თაობა, მოსწავლეთა რაოდენობა მცირდება.

სკოლა არის ერთადერთი საგანმანათლებლო და კულტურის კერა, რომელიც სოფელს აცოცხლებს. რა იქნება მომავალში? – მანუხებს ჩემი სკოლისა და სოფლის ბედი...

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მასწავლებლებს და ვიმედოვნებ, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა მოსწავლე აღარ ვიქნები, ასეთი თემის დაწერა რომ შემომთავაზონ, ისევე იმ ხალხით, მონდომებითა და პატივისცემით დავწერ.

ამაყი ვარ. სოფელ წრომის მკვიდრი ვარ. წრომის საჯარო სკოლის მოსწავლე, სიამაყით აღვსილი და მადლიერი ვამთავრებ წერილს, რომელიც, იმედი მაქვს, მოგეწონებათ.

ნინო ქურდაძე

სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ წრომის საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლე



სპორტი

# ბორის პაიჭაძისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა სპორტის მუზეუმში

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შენობაში განთავსებული ქართული სპორტის მუზეუმში წლეულს 50 წლის ხდება. ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით მუზეუმში წლის მანძილზე სხვადასხვა ღონისძიებას

უმასპინძლებს.

23 თებერვალს, ქართული სპორტის მუზეუმში, სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის, ბორის პაიჭაძის საუკუნოვანი იუბილე აღინიშნა – გამოიფინა მოთამაშის ფოტოები, დიპლომები, ჯილდოები, სხვადასხ-

ვა ნივთები და ექსპონატები.

„მსურს დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ეს იუბილე დაგეგმა და განახორციელა: სამინისტროს მესვეურებს, სპორტის მუზეუმის ხელმძღვანელებს... მიხარია, ბაბუას იუბილე ასე კარგად და ლამაზად რომ აღინიშნა,“ – განაცხადა ბორის პაიჭაძის შვილიშვილმა, უმცროსმა ბორის პაიჭაძემ.

ფოტოგამოფენის გარდა, ბაქსევუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის მოსწავლეებმა სტუმრებს ბორის პაიჭაძის შესახებ მომზადებული პროექტი წარუდგინეს. ბავშვებმა ფეხბურთელის კარიერა და მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები გაიხსენეს.

„მცირე ხნის წინ ჩვენმა სკოლამ ქართული სპორტის მუზეუმთან მემორანდუმში გააფორმა და დღევანდელი ღონისძიებაც მისი ეგიდით



ჩატარდა. ვფიქრობ, ჩვენი ფეხბურთის ვეტერანებიც და ყველა აქ მყოფი კმაყოფილი დარჩა დღევანდელი იუბილეთი,“ – განაცხადა ბაქსევუდის სკოლის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზურაბ ჯავახიშვილმა.

ბორის პაიჭაძისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელები, ოჯახის წევრები, ვეტერანი ფეხბურთელები, გულმემატკივრები და შურნალისტები დაესწრნენ.

იმავე დღეს ქართული სპორტის

მუზეუმის მცველს, **ლილი ლომსაძეს** გულმემატკივარმა დაეით ნანიტაშვილმა საჩუქრად გადასცა საბჭოთა კავშირის ნაკრების ფეხბურთელების ავტოგრაფებით დამშვენებული ბურთი, რომელიც მის ოჯახში 30 წელი ინახებოდა.

„ჩვენი მუზეუმი წლეულს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს შეიშობს. ამ თარიღთან დაკავშირებით არაერთი მიღება თუ ღონისძიება დაგეგმეთ. დღევანდელი იუბილეც სწორედ ამ თარიღის ეგიდით გაემართეთ,“ – განაცხადა ქართული სპორტის მუზეუმის დირექტორმა **ნანა მიქაძემ**.



## სასკოლო ლიგა უკვე ფრენბურთის

გრძელდება სასკოლო ლიგის გათამაშება ფუტბალში, რომელმაც დედაქალაქიდან უკვე რეგიონებში გადაინაცვლა. ეს ტურნირი თბილისში დაიწყო, სადაც შეჯიბრებები 16 ქვეჯგუფში ჩატარდა. მათ უკვე გამოავლინეს 16 გამარჯვებული, რომელიც დასკვნით ეტაპზე იასპარეზებს. ესენია: №№ 2, 11, 55, 59, 97, 102, 105, 115, 120, 143, 149, 158, 176, 190, 199 და 207 საჯარო სკოლები.

რეგიონებიდან გათამაშება უკვე ჩატარდა მცხეთაში, სადაც წეროვანის მე-3 სკოლამ გაიმარჯვა, მიმდინარეობს გა-

თამაშება აჭარაში, სულ მალე კი, მათ რიგებს შეავსებენ თიანეთი, ქვემო ქართლი, მესხეთ-ჯავახეთი... მათი ჩემპიონებიც შეუერთდებიან ფინალური ეტაპის მონაწილე გუნდებს.

ამასობაში დაიწყო სასკოლო ლიგის გათამაშება ფრენბურთში, რომელიც ჯერ მხოლოდ თბილისში ტარდება ორ ასაკობრივ ჯგუფში (VII-IX და X-XII კლასები), გოგოებსა და ბიჭებს შორის ცალ-ცალკე. მასში დედაქალაქის 100-მდე სკოლა ჩაება. შეჯიბრება ამჟამად უფროსთა შორის მიმდინარეობს, მისი დასრულების შემდეგ კი ტურნირში უმცროსები ჩაებმებიან.

## საშურალთა „თავისუფლება“

სპორტკომპლექს „არენაში“ ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქაბუკთა შორის, რომელმაც შარშანდელთან შედარებით, ბევრად მეტ მონაწილეს მოუყარა თავი – ამჯერად მასში 300-მდე მოზარდი მონაწილეობდა. ასეთი პროგრესი რეგიონებში ჭიდაობის გამოცოცხლებამ გამოიწვია და ამ ჩემპიონატშიც ვიხილეთ ორი ისეთი რაიონი, სადაც ბოლო წლებში არათუ ეს სტილი, ზოგადად ჭიდაობა იყო ჩამკვდარი – ლანჩხუთი და ჩოხატაური. ორივეგან, ბოლო პერიოდში, სხვადასხვა სოფლებში გაიხსნა ახალი სექციები, მასობრიობის ასეთი ზრდა კი აუცილებლად მოგვცემს შედეგს. მართალია, ამჯერად მათ მედლები არ მოუპოვებიათ, მაგრამ ამ ეტაპზე მონაწილეობაც ფრიად ნაად-

გებათ. მისასალმებელია, რომ ჩემპიონატში ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი რეგიონები და ბევრმა მათგანმა დიდი წარმატებითაც იჭიდავა, ყველაზე მეტად კი თავი ხაშურის გუნდმა გამოიჩინა – 4 ოქროს მედალი დაიხსკუთრა. ასევე აღსანიშნავია სამტრედიელთა ასპარეზობაც – 2 ოქრო.

წლეულს ამ ნაკრებმა, თაობათა ცვლის გამო, ორი ლიდერი დაკარგა – ახალგაზრდულ ნაკრებში გადაიხდნენ ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ვიცე-ჩემპიონი, ქუთაისელი **მეჩი სიმონია** (76) და მსოფლიოს მესამე პრიზიორი, სამტრედიელი **შმაგი თოდუა** (54). დარჩენილთაგან ბევრმა ნონა შეიცვალა, თუმცა გამორჩინდნენ ახალი, პერსპექტიული მოზარდებიც, რაც იმის წინაპირობაა, რომ მაღალი კონკურენცია წლეულსაც გაგრძელდება, ეს კი აუცილებელია წარმატების მოსაპოვებლად. წლეულს ჭაბუკებს ევროპის ჩემპიონატიც ელოდებათ და მსოფლიოსიც, ოღონდ ამჯერად ეს შეჯიბრებები კიდევ უფრო უცნაური განრიგით ტარდება – ნინა წლებში მათ შორის ერთი-ვიანი შუალედი მაინც თუ იყო (რაც არანაირად არ იყო გამართლებული გრაფიკი), წლეულს ორივე აგვისტოში ტარდება, რაც მწვრთნელების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.

„არენაში“ საქართველოს ჩემპიონები გახდნენ ხაშურელები – **გიორგი ხაჩიძე** (46), **ვახტანგ გოდელაშვილი** (54) **ალექსანდრე ლომიძე** (58) და **თორნიკე კვინიკაძე** (63); სამტრედიელები – **ივრიკო ჯულაყიძე** (69) და **დემურ მეგვინიშვილი** (76), ბათუმელი **თორნიკე ქათამაძე** (42), გორელი **თეიმურაზ ვანიშვილი** (50), თბილისელი **ბექა ჭელიძე** (85) და მცხეთელი **ზურაბ ურთაშვილი** (100).

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე



<p><b>მასწავლებლის სამუშაო რეპეტიტივი</b></p> <p>მასწავლებლის სამუშაო რეპეტიტივი</p> <p>3 ლარი</p>	<p><b>მასწავლებლის სამუშაო რეპეტიტივი</b></p> <p>მასწავლებლის სამუშაო რეპეტიტივი პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რეპეტიტივის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;</li> <li>2. გააცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რაკომენდაციას;</li> <li>3. გააცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.</li> </ol>	<p><b>მასწავლებლის კალენდარი</b></p> <p>2014-2015 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია დაგეგმოს და ჩაინიშნოს მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირურად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.</p> <p><b>კალენდარს ახლავს</b> პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეკომენდაციები და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.</p>
<p><b>მასწავლებლის სამუშაო რეპეტიტივი</b></p> <p>5.50 ლარი</p>	<p><b>დაგეგმვის პორტფოლიო</b></p> <p>დაგეგმვის პორტფოლიო საშუალებას აძლევს მასწავლებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მუშაობის განსაზღვრული საკმარისობები.</p> <p>გარდა შესავსების სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რაკომენდაციას, რაც დაეხმარება კლასის დაგეგმვას პორტფოლიოს წარმოებაში და დაგეგმვის საკმარისობის განხორციელებაში.</p>	<p><b>ინტერაქტიული მეთოდების კრებული</b></p> <p>კრებულში აღწერილია ინტერაქტიული მეთოდების მეთოდები; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.</p> <p>5.50 ლარი</p> <p><b>მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით</b></p> <p>საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციით. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: მასწავლებლის, მუშაობის, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, მასწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებს. წიგნი დაეხმარება მასწავლებელს, პედაგოგიური ფაქტორების სტუდენტებს.</p> <p>3 ლარი</p>
<p><b>დაგეგმვის პორტფოლიო</b></p> <p>6 ლარი</p>	<p><b>კათედრის გაგების პორტფოლიო</b></p> <p>კათედრის გაგების პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგის აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკმარისობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სტრუქტურის გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რაკომენდაციას, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საკმარისობის განხორციელებაში.</p>	<p><b>კათედრის გაგების პორტფოლიო</b></p> <p>6 ლარი</p>



მიმდინარეობს ხელმოწერა

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანა - ეფი ბრინტი
მიგელ დელიბასი - ორი რომანი
აკვილ კ. ტანინარი - დროის ინსტიტუტი
ჟან ჟირონი - ჰუსარი სახურავზე
ჯოზეფ კონრადი - ლოდი ჯიმი
რაფაელ საბატინი - ღამეული ბატონიანი
ისტორიის მიღმა
ერნსტ ჰოფმანი - სატანის ელემენტები
ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები
ჯონ გოლდსუორთი - რჩეული მოთხრობები
ვიქტორ ჰიუგო - ხარისხის ღვთისმშობლის ტაძარი
უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დიასახლისი
ნომრა დე ბალზაკი - მამა გორიო
ჟენერი რაინდო კაბარდი - მონტესუპას ასული
ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
ჯონათან სვიფტი - გულივირის მოგზაურობა
გოლდენი დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
შტაფან ცვაიგი - მოუთმელობა გულინა
მარგერიტ დიურასი - საყვარელი ჩრდილოეთი წინეთიდან
პროსპერ მერიმე - ილელი ვენერა
გილგამეტი კ. ჩესტერტონი - დონ კისოტის დაბრუნება
სტენდალი - წითელი და შავი
ჯონ ბრინტი - გზა ელიტიისკენ
ალბერტო მორავია - მოწყვნილობა
ალექსანდრე დიუმა - კავკასია
ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაფუში
მინ რიდი - კვარტარონი
ვილჰელმ ჰაუფი - ლინტენშტაინი
თეოდორ დრაიზერი - დიკო კერი
ალბერ კოენი - დედაჩემი
გუსტავ ფლობერი - მადამ გოგარი
ეილ ზოლა - ქალთა პედანტობა

თითო ტომის ფასი - 12 ლარი
„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“



ნიგნი I - ძველი ძარბული მწერლობა;
ნიგნი II - „ვეფხისტყაოსანი“;
ნიგნი III - XIX საუკუნის მწერლობა
ავტორები:
თამარ ბელიტაშვილი,
ამირან გომარტელი
თითოეული კრებულის ფასი - 10 ლარი



სამარჯიშო რვეული
ძარბულ მწერლობაში


ტესტების კრებულები

- ქიჩია
საათნათა გამოცდისთვის
ლ. მცხრველი
8 ლარი
მათეატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა
და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
5 ლარი
ისტორია
საათნათა გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
გ. ახმეტელი,
გ. მურღულია
6 ლარი
ფიზიკა
საათნათა გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბარბია
8 ლარი
ბიოლოგია
საათნათა გამოცდისთვის
ლ. გურდიაშვილი,
დ. ბარბია,
ქ. მალაქაძე,
გ. სინარულია,
ქ. მალაქაძე,
დ. ნახრიშვილი
4 ლარი
ბეობრაფია
საათნათა გამოცდისთვის
ბ. ჭანტუაია, გ. ბლიაძე
8 ლარი
ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
გ. ახმეტელი,
გ. მურღულია
9 ლარი
ბიოლოგია
აბიტურიენტებისთვის
ლ. გურდიაშვილი,
გ. სინარულია,
ქ. მალაქაძე,
დ. ნახრიშვილი
პირველი ნაწილი - 10 ლარი
მეორე ნაწილი - 10 ლარი

ქართული მწერლები

- 1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომიანი) I-VI ტომი, - 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომიანი)
I, II, III, IV, V, VI, VII ტომი - 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომიანი) I-II ტომი - 16 ლარი
4. ედიშერ ჭიჭინაძე (2-ტომიანი) I-II ტომი - 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომიანი),
I, II, VI, VIII, IX, X ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომიანი)
I, II, III, IV, V, VI ტომი - 12 ლარი
7. ვახტანგ ჭავჭავაძე (9-ტომიანი) I-VII ტომი - 12 ლარი
8. ბრიგოლ აბაშიძე (6-ტომიანი) I-V ტომი - 12 ლარი
9. ოტიან იოსელიანი (10-ტომიანი) I-X ტომი - 12 ლარი
10. თამაზ შილაძე (6-ტომიანი) I-VI ტომი - 10 ლარი
11. გოდადგი ჩოხელი (5-ტომიანი) I, III, V ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი




შოთა რუსთაველი
ვეფხისტყაოსანი
ბაჩანა ბრეგვაძის
კროზაული ვერსია
სერიიდან
ინტელექტი სკოლას
ფასი - 15 ლარი



საყვანვილო ენციკლოპედია

- ავტომობილი
ამინდი
სამუშაო
უდაბნო
გამოგონებები
განძის ქიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმიკა
მეცობრები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კომპიუტერი და ციფრული ტექნოლოგია
ხალხთა დიდი გადასახლება
უკველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათეატიკა
მეცნიერებები
მსოფლიოს რელიგიები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



დაწყებითი
კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)
1. წელიწადის დროები:
შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები:
გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პრეფიქსები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი
2.50 ლარი

მალაღი
კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)
1. რელიგიის წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საბერძნეთში
3. გარეული ცხოველები საბერძნეთში
4. მწერები
5. ძველბრძნული საბერძნეთი
6. საბერძნეთის მცენარეები
7. საზღვარის წარმოშობა
8. ნინაბა - სიციცილის წყარო
9. რაბიტები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროები
11. ზღვის დინებები
12. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ძარბული გეოგრაფიის შეიარაღება და საბერძნეთი ტემპი
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება
3 ლარი

მწერალთა
კორტიკები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლორთქიფანიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. ბაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. ჰელიკარა კახაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბასილი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მტკვრელი
17. ბრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი
4 ლარი

რეპროდუქციები

1. ჰერკულისტა ფიცი - შაკ-ლუი დავიდი
2. მწველთა თამაზისციცა - დომენიკო გირლანდანი
3. ადელ ბლუს-გაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტ
4. მინიანი - დიეგო ველასკესი
5. დელფინი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უკვები შვილის დაბრუნება - რეზანდტი
8. საბანა - ოგიუსტ რენუარი
9. საპირბო გასინება ბრან შატის კუნძულზე - შურს სიორა
6.5 ლარი

თამაღური კლასები

# 1924 წელი, 24 თებერვალი...



„24 თებერვალს ერთს ჩემს მეგობართან ერთად უძილო ღამე გავატარე. ქალაქის ქუჩებში საოუარო სიჩუმე იდგა. თოვლის ფანტელები უხმოდ ეყრდნენ ქვაფენილებს. უკან ჩამორჩენილი ჯარისკაცები ჩრდილებით მოძრაობდნენ, ზოგი მათგანი კედელზე აყუდებდა ან მიწაზე ავდებდა თავის თოფსა და სავაზნეს. ქალაქი ჩამხლებული იყო.“

...როდესაც 25 თებერვალს დილით ნითელი ჯვრის მეთაურობით მზვერავები ფრთხილად ქართული ჯარის სანგრემს მიახლოებოდნენ, სახტად დარჩენილიყვნენ, რადგან იქ აღარავინ დახვედროდათ. თავის პოსტზე მხოლოდ ერთი ჰატარა ნაწილი დარჩენილიყო, უმთავრესად იუნკრებისაგან შემდგარი. მათ, აღნათ, ქართველი ჯარი უნდა დაეფარა. იუნკრებმა უკანასკნელ ნუთემადე თავგანწირულად იბრძოლეს და თავიანთი წებდრებით ამოავსეს კოურის მალღობებისა და ქორღლის სანგრები.

...თბილისის დაკავებისთანავე ნითელი ჯარის ნაწილებმა ჰარადი გამართეს ქალაქის მთავარ

მოედანზე. მთორე დღეს თბილისის მოსახლეობამ დიდი სამგლოვიარო პროცესია მოახსო რუსთაველის პროსპექტზე. ნინ მოჭონდათ შავი კუბონი, რომლებმორ სანგრებიდან ჩამოტანილი ქართველ ჭაბუკთა გვამები ესვენენ, ხოლო უკან, ნელი ნაბიჯით მდუძარე და თავჩაქინდრული ხალხი მოაბიჯებდა. ეს სანახაობა იმდენად ტრაგიკული იყო, რომ გოურებათან შეერთებული მოკრძალების გრძობას ინვედა კომუნისტებისა და ნითელარმიელთა რიგებში. ახლო ადმინისტრარას აზრადარ არ მოსვლით ამ პროცესისათვის ხელი შექმალა. დახოური ქართველი მეორები დასაფლავებულ იქნენ დიდი საკრებულო ტაძრის ეზოში, სადარ ამჟამად მთავრობის ახალი სასახლის შენობა ამართული.

ამ დროს მეზობლად, ძველი სასახლის სახურავზე, უკვე ნითელი დრომა ფრიადებდა, რაიფ სერგო ორჯონიკიძემ დეპეშით აყნა ლენინს.“

გერონტი ქიქოძე (1886-1960)  
ნიგნიდან „თანამედროვის ჩანაწერებ“



„24 თებერვალს, განთიადისას, მე, ლელი ჯაფარიძე და გრიგოლ ვეშაპელი, ავტომობილით გავემგზავრეთ სონლალოლის ფრონტზე, გამარჯვებულ მანინაშვილთან, რომელმარ ნინა დღეებში სასტიკი მარხი მიაყენა რუსებს და 1600 ტყვე გამოგზავნა თბილისში...“

...შემდეგ გამიყარა ხელი მანინაშვილმა და ნამიყანა იმ ადგილებს საჩვენებლად, სადარ ნინადღეებში ქართველმა მებრძოლებმა სასტიკი მარხი მიაყენეს რუსებს. აი, ამ სანგარში შემოიჭრა მტერი, მავრამ დახოურეს, დასურეს, გაპყარეს და ტყვეები ჩავიგდეთ ხელში. ორიოდე წებნოსანი ესკადრონი რომ გვყოლოდა, გაქრული მტრების სადვენელოდ, სულ გავანადგურებდით და ათასობით კიდე მეტს ტყვეებს ჩავიგდებდით ხელში... შემდეგ მიხრა: გადაური თბილისში, რომ არაფერი საშიში არ არის, ფრონტი მთლიანად გვივირავს და თუ დაპირებულ ზატალიონს დაჩქარებენ, კიდე დიდხანს ვერას დაგვაკლებენ ეს უნიფხვო ზოლშევიკები.

ისე დამშვიდებული ნამოკედი, რომ ნასა-

დილოცვს, დაქანრულის დაშეძინა და მარტო სალაშოს 9 საათზე მივედი „ფრასკაციში“, ახალი ამბების გასაგებნად. ვლანარაკობდით ომიანობაზე, რომ შემოვარდა ვეშაპელი და გამოგვიყნადა: „ზრძანებნა გარემული, 12-საათზე ღამე იხსნება ფრონტი და თბილისს ვტოვებთ!“-ო.

— როგორ, რათა, ვისი ზრძანებნა? დილით ფრონტზე მანინაშვილი მარნმუნებდა, არაფერი საშიშროებნა არ არისო და რა მოხდა ამის შემდეგ? — მთავრობის დადგენილებნა... და, ხეირიანადარ აღარ აგვიხსნა, ისე გავარდა.

ისეთი თავზარდამეცეში ამბავი იყო მორალურად, რომ არა გვჯეროდა, მავრამ ჩანელებული, უკვე მიძინებული მინწარებული თბილისი, საიდანარ მთავრობა და სამხედრო ძალა იპარებოდა ხალხის გაუფრთხილებლად, მიძიე შთაბეჭდილებას სტოვებდა.“

რევაზ განაშვილი (1882-1969)  
ნიგნიდან „რარ მახსოვს“

